

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 31 მარტი, 2011 წელი.

№59 (6671)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




## „ჩვენ გვყავს არა ეფექტური, არამედ დეფექტური მთავრობა, რომელიც აქამდეც უნდა გადამდგარიყო...“

**გუშინ, პარლამენტის რიგგარეშე სხდომის შემდეგ, 40-საათიანი შემაჯამებელი სამთავრობო კვირეული დასრულდა. დეპუტატებს საშუალება ჰქონდათ, მაათვის საინტერესო კითხვები პრემიერ-მინისტრ ნიკოლოზ გილაურისთვის და მინისტრთა კაბინეტის ყველა წევრისთვის დაესვათ...**

სხდომაზე საპარლამენტო ოპოზიციამ მთავრობის გადადგომა მოითხოვა. უმცირესობის ლიდერმა **გიორგი თარგამაძემ** პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის მეთაურობით მთავრობის მთელი შემადგენლობით გადაყენების საკითხი დააყენა. თარგამაძემ დეტალურად განმარტა ის მიზეზები, რის გამოც მთავრობა მთელი შემადგენლობით უნდა გადადგეს. „ჩვენ გვყავს არა ეფექტური, არამედ დეფექტური მთავრობა, რომელიც აქამდეც უნდა გადამდგარიყო“, და რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ექსპერიმენტმა სახელწოდებით „საქართველოს ეკონომიკური რეფორმა“ სრული კრახი განიცადა, – აღნიშნა თარგამაძემ.

იხ. 3 გვ.

## კაკალზე მეტად რატომ ჩხრიალებს ჩვენში აზერბაიჯანული „ბამბა“? მგლის შიში თუ ჩიჩიას სიყვარული?

2

ზვიად გამსახურდიას დღე



## მას საქართველო დედასავით უყვარდა

მოგონებები შორეული ბავშვობიდან

7

## მგზავრობის ღირებულების გაზრდა მძღოლებს ბრალდებათ...

6



## ბრძოლა ნავთობისთვის თუ ლიბიელთა თავისუფლებისთვის?

5





## როცა მსახიობის მიერ განსახიერებულ შარჟოფით ბვირს აბინებენ...

9

„როგორც ჩემი შვილი იტანჯება, ისე უნდა დავიტანჯო“

## რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის ტერიტორიული დავა ჩაღდება

8

მეამარ კადაფი:

## „სამწუხაროა, რომ ატომური ბომბი არ შევქმენით“

4

განსჯა

# უფრო მეტად არარაციონალურნი აღმოვჩნდით, ვიდრე ამის უფლება გვქონდა

**2011 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წელი შესრულდება. ორი ათეული წელი ისტორიისთვის დიდი დრო არ არის, მაგრამ კარგი საბაბია ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში მიღწეული შედეგებისა და შეცდომების შესაჯამებლად. რას მივაღწიეთ და რას ვერა, რა ამოცანების წინაშე დგას ქვეყანა დამოუკიდებლობის 20 წლისთავზე, ამ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**



**— ბატონო რამაზ, 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა. როგორ შეაფასებდით დამოუკიდებლობის 20-წლიანი ისტორიის შედეგებსა და მიღწევებს?**

— ამ 20 წელიწადში მძიმე წლები გავიარეთ. პრაქტიკულად, არ ყოფილა წელი, როცა თავი ლაღად შეიძლებოდა გვეგრძნო. ამ პერიოდის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად მიმაჩნია ის, რაც, სამწუხაროდ, ძალიან გვიან, აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ მოგვაფიქრდა. აფხაზეთის დაკარგვამ დაგვაფიქრა, თუ რით უნდა გავმხდარიყავით საინტერესო მსოფლიოსთვის, რათა მსოფლიოს ჩვენ პრობლემებზე ეზრუნა.

სწორედ იმ პერიოდში გაფორმდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ხელშეკრულება. ეს გადაწყვეტილება მეჩვენება კარდინალური ხასიათის ნაბიჯად. პრაქტიკულად ამ დოკუმენტზე ხელმოწერისთანავე მოეწყო ტერაქტი შევარდნაძეზე. თავად ტერაქტის მოწყობის ფაქტმა გვიჩვენა, რათა ამ დოკუმენტზე ხელმოწერა სწორი გადაწყვეტილება იყო.

**— დაშვებულ შეცდომებზე რას იტყვით? და კიდევ, თქვენი აზრით, რატომ დაუშვა ქვეყანამ იმაზე გაცილებით მეტი შეცდომა, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა?**

— მთელი ამ 20 წლის განმავლობაში ყველა წელს თავისი სირთულე ჰქონდა. თუ გვინდა, ამ სირთულეების საფუძველი გავიაზროთ, დამოუკიდებლობის აღდგენამდე წინაპერიოდის გახსენება მოგვიწევს. პრაქტიკულად, 1987-1988 წლებიდან უკვე ჰაერში ტრიალებდა საბჭოთა კავშირის დანგრევისა და დამოუკიდებლობის მიღების სუნი. საბჭოთა პერიოდი იყო, მაგრამ უკვე იკრიბებოდნენ „სახალხო ფრონტში“, რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებებში. ეს ის ორგანიზაციები იყო, რომელთა არსებობა დაუშვა იმდროინდელმა ხელისუფლებამ და უკვე მიდიოდა მსჯელობა დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე.

იმ პერიოდში ერთი რამ დაგვრჩა უყურადღებოდ და ამან შეასრულა გადამწყვეტი როლი. ის, რომ დამოუკიდებლობა მოდიოდა, თითქმის ცხადი იყო, მაგრამ ჩვენ არ დაგვაეჭვა იმან, რომ უფასოდ მოცემული თავისუფლება დამაფიქრებელია, იმიტომ, რომ უფასო, როგორც ამბობენ, მხოლოდ ყველია სათაგურში. არ დავფიქრდით იმაზე, ხომ არ იყო სათაგურში დაკიდებული ყველივით ის თავისუფლება, რომელსაც გვაძლევდნენ?

მაშინ თბილისის მასშტაბით სოციოლოგიურმა გამოკითხვა ჩატარდა. შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 70 პროცენტი მიიჩნევდა, რომ საქართველო საბჭოთა კავშირში უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ცოტა ხანში მოხდა 9 აპრილი. ბუნებრივია, საბჭოთა კავშირისადმი სიმპათია გაქრა და ქართული მოსახლეობა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ განთავისუფლებულიყო ამ მონსტრისგან. 9 აპრილის შემდეგ შეიქმნა კომისია სობჩაკის ხელმძღვანელობით, რომელიც ტრაგედიის გარემოებებს იკვლევდა. თბილისში ამ კომისიის სხდომაზე გამოვიდა ერთ-ერთი თანამდებობის პირი, რომლის ვინაობას ახლა იმის გამო ვერ დავასახელებ, რომ მისგან ამის თანხმობა არა მაქვს. მან ძალიან საგულისხმო რამ თქვა — საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ, 9 აპრილამდე დიდი ხნით ადრე, მოსკოვიდან ზეპირი დავალება მიიღო ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთისთვის ხელის შეწყობის შესახებ. იმავე პიროვნების მონათხრობით, იმჟამინდელ ხელისუფლებას უნდა დაებლოკა ისეთი ცენტრისტული ორგანიზაციები, როგორებიც იყო „რუსთაველის საზოგადოება“ და „სახალხო ფრონტი“. ეს ინფორმაცია თავისთავად ძალიან საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

მოსკოვს უნდოდა, საქართველო რადიკალიზმის გზაზეც „შეეგდო“ და ეს კარგად მოახერხა. ამ რადიკალიზმმა გადამწყვეტი როლი შეასრულა, რათა საქართველოს გადაედგა ისეთი ნაბიჯები, რომ სულ უფრო ხშირად აღმოჩენილიყო რუსეთისთვის ხელსაყრელ მდგომარეობაში.

ამ რადიკალიზმმა გააჩინა ფორმულა — „საქართველო ქართველებისთვის“, რამაც შემდეგ ეთნოკონფლიქტები გამოიწვია. ამ რადიკალიზმმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ვიძახეთ — სისხლი უნდა დაიღვაროს; სისხლზე გვქონდა აქცენტი და სისხლი მართლაც არაერთხელ დაიღვარა.

პრაქტიკულად, მთელი 20 წელიწადი ქართული პოლიტიკური ცხოვრება ისეა დეზინტელექტუალიზებული, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში დაიგეგმა. შეგახსენებთ, რომ იმ პერიოდის „რუსთაველის საზოგადოებასა“ და „სახალხო ფრონტში“ თავი მოიყარა ქართულმა ინტელიგენციამ. ეტყობა, რუსეთს სწორედ დამოუკიდებლობის პროცესის ინტელექტუალიზაცია არ აძლევდა ხელს. მის ინტერესებში იყო, რომ ეს პროცესი სტიქიური, ემოციურად დატვირთული და ეგზალტირებული ყოფილიყო.

კიდევ ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯი იყო ის, რასაც პრაქტიკულად შეეწირა პირველი პრეზიდენტი გამსახურდია. ეს იყო ჩრდილო კავკასიასთან ალიანსი და კურსის აღება „კავკასიურ სახლზე“. ამაზე ძალიან მწვავე რეაქცია ჰქონდა მოსკოვს, რასაც მოჰყვა ჯერ გამსახურდიას, მერე დუდაევისა და მასხადოვის სიკვდილი.

იხ. 4 გვ.










რიტორიკული კითხვები

# მგლის შიში თუ ჩიჩიას სიყვარული?

**კაცს მარანში ღვინო ეკარგებოდა. იქაურობას მეთვალყურე მიუჩინა. დანაკარგმა უფრო იმატა. მაშინ მეთვალყურის მეთვალყურეც გამოძებნა კაცმა. კლების ნაცვლად ის გაზრდილი დანაკარგიც გაორმაგდა...**

მოკლედ, ყოველი ახალი დარაჯ-მეთვალყურის დანიშვნით დანაკარგი სულ უფრო და უფრო რომ მატულობდა, ეს ამ ცნობილი არაკითაც ვიცით.

თუმცა არც ის ფრთიანი ფრაზაა ვინმესთვის უცნობი, — მგლის შიშით ფარა ვის გაუწყვეტიაო, რომ გვასწავლის.

არადა, ჩვენი „რეფორმატორი“ ხელისუფლება სწორედ ამ გონიერი შეგონების საწინააღმდეგოდ მოიქცა და „იოლი“ გზით არჩია წასვლა: რაკი „მგლები“ (მაკონტროლებლებიძ ნიადაგ ქრთამს იღებენ, მათს მორჯულებას, რახან „ღვინო“ გამუდმებით იკარგება, „ფარის“ გაწყვეტა (მაკონტროლებელი ორგანოების გაუქმებაძ სჯობსო, და ამ ოთხიოდე წლის წინათ ერთიმეორის მიყოლებით კი არა, ერთი ხელის დაკვრით გააუქმეს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, ფიტოსანიტარიული თუ პროდუქციის ხარისხის შემმოწმებელ-მაკონტროლებელი ყველა სხვა სამსახური.

**ამით კი საზღვარიც მოღიავებული დარჩა უხარისხო, გენმოდიფიცირებული, ჯანმრთელობისთვის მავნებელი პროდუქტებისთვის და ბაზარ-მაღაზიების დახლებიც.**

თუმცა „რეფორმატორებმა“, როგორც ჩანს, იფიქრეს, არც მთლად ასეთი „კარგახსნილობა-ლიბერალობა“ვარგაო, და ყველა იმ გაუქმებული სამსახურის ნაცვლად **შექმნეს ერთი ახალი — სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, დააკომპლექტეს კიდეც იგი და... მაშინვე 2010 წლის იანვრამდე ჩამოართვეს შემოწმება-კონტროლის უფლება(?!!).**

შარშან კი მას გაუგრძელეს... ამ აკრძალვის ვადა (?!?!ძ.

**გაგიკვირდათ? თუ არ ამუშავებდნენ, რას ქმნიდნენ და მის თანამშრომლებსაც ხელფასს რაში უხდიდნენო, ამბობთ?**

თუმცა თქვენი გაკვირვება რა არის იმ გაოცებასთან შედარებით, ამის გამო ჩემი უარყოფითი რეაქციის შემხედვარე ჩემს ერთ ნაცნობს რომ აღებეჭდა სახეზე!

**— შენი გამკვირვებიაო, — მითხრა, მართლა ფიქრობ, რომ მაკონტროლებელი ორგანოების გაუქმება მხოლოდ ამ სფეროში მექრთამეობის ამოძირკვას ან მეტისმეტი ბიუროკრატიული ბარიერების მოსპობას და ამით ბიზნესის მეტ ხელშეწყობა-წახალისებას ისახავდაო მიზნად?**

**— პირიქითო, — მითხრა, ამით ძლიერნი ამა ქვეყნისანი გაუქმებულებს „ჩაენაცვლნენო ალებაში“, ახალდაარსებული ერთადერთი მაკონტროლებელი ორგანოს შექმნისთანავე „შებოჭვით“ კი ფალსიფიკატორებსა და მათს ხელშემწყობთ გაუხსნესო ხელ-ფეხი.**



— ამიტომაც „მგლის“ შიშით კი არ გაუწყვეტიათო „ცხვარი“, არამედ რაც შეიძლება მეტი ჩიჩიის მოხელთების სურვილმოძალებულებმა გააკეთესო ეს, ხოლო ამ მომგებიან „ბიზნესში“ რომ არ შესცილებოდა, ამიტომაც შექმნისთანავე აუკრძალესო შემოწმება-კონტროლის უფლება ახალ სამსახურს, — ბეჭედი დაუსვა ნათქვამს.

ღმერთი, რჯული, არაფერი მიმიმატებია, როგორც მომყიდა, ისევე ვყიდი! გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა!

მაინც არ გჯერათ? როგორც ვთქვი, ნება თქვენია!

**ისე, არც მე მინდა დავიჯერო და მსურს, ფიცისა მწამდეს, მაგრამ „ბოლო“ რომ მაკვირვებს და კითხვებს მიჩენს?**

იხ. 6 გვ.

ინფორმაცია

## ნოღაიდელის პარტიას კომპიუტერები ჩამოერთვა... ძველი პარტიის სასარგებლოდ

**თბილისის საქალაქო სასამართლომ ექს-პრემიერის ზურაბ ნოღაიდელის წინააღმდეგ ყოფილი თანაგუნდელების სარჩელი დააკმაყოფილა. გადაწყვეტილების თანახმად, ახალი პარტიის ბალანსზე არსებული ქონება მის ძველ პარტიას მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ მიეკუთვნა.**



**პარტიის წევრთა განცხადებით, ნოღაიდელს ჩამოერთმევა 23 ათასი ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა, ასევე ატრიბუტიკა და ბეჭდები.**

**სამართლიანი საქართველოს ახალი თავმჯდომარე ნოღაიდელის წინააღმდეგ სახელფასო დავალიანების დაფარვის მოთხოვნით საქალაქო სასამართლოში ახალი სარჩელის შეტანასაც გეგმავს.**

**დავა კვლავ მიმდინარეობს იმ ფინანსურ გადარიცხვასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად ნოღაიდელმა პარტიის კუთვნილი 32 ათასი ლარი ნოღაიდელმა საკუთარ საადვოკატო ბიუროში გადარიცხა.**

**როგორც პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე სერგო ჯავახაძე აცხადებს, მოსამართლე ქოჩლაშვილმა სრულად დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა ქონებრივ დავასთან დაკავშირებით.**

## აზერბაიჯანში ქრისტიანულ სექტებს კრძალავენ, ჩვენთან კი...

**რელიგიურ ორგანიზაციებთან მუშაობის საკითხებში აზერბაიჯანის სახელმწიფო კომიტეტის დასავლეთ რეგიონალურმა განყოფილებამ რეგიონში მოქმედი რელიგიური გაერთიანებების ხელახალი რეგისტრაცია დაიწყო.**

**გასულ წელს აზერბაიჯანში „იეღოვას მოწმეების“ სექტის მოღვაწეობა შეწყდა. მიმდინარე წელს კი აიკრძალა პროტესტანტული ორგანიზაციების „აღმოსავლეთის ვარსკვლავის“, „ახალი მოციქულისა“ და „ქრისტიანულ ბაპტისტურ ეკლესიათა ბიბლიური კავშირის“ მოღვაწეობა.**

**ყველა ამ ორგანიზაციას თავიდანვე არ გააჩნდა რეგისტრაცია. ორმა მათგანმა უკვე წარადგინა დოკუმენტები, თუმცა რეგისტრაციის უქონლობის გამო მათი მოღვაწეობა დროებით შეწყდა.**

**ის ორგანიზაციები კი, რომელთაც ოფიციალური რეგისტრაცია არ გაუვლიათ, დაიხურება.**

**შეგახსენებთ, აზერბაიჯანის დასავლეთ რეგიონში 50 ისლამური და 6 ქრისტიანული ორგანიზაცია მოქმედებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## დებატები საკანონმდებლო ორგანოში

(პირველი გვერდიდან)

**„პრეზიდენტმა სააკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა და მისმა ეკონომიკურმა გუნდმა ქვეყანა ძალიან ღრმა ეკონომიკურ კრიზისში შეიყვანა — უმუშევრობა მატულობს, ფასები კატასტროფულად იზრდება, ინფლაციამ ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა.**

**იმის მიუხედავად, რომ მთავრობასთან დებატებისას, ოპოზიციის გამოსვლები გაჯერებული იყო კონკრეტული ფაქტებით, პრობლემების ანალიზით და არაერთი კონსტრუქციული შეთავაზებით, უმრავლესობამ ოპოზიციურ კოლეგებს მხოლოდ შეურაცხყოფით, არაკომპეტენტურობაში დადანაშაულებით და ოპოზიციონერთა შუბლებზე სინდისის ძარღვების დათვლის მცდელობით უპასუხა“,** — განაცხადა თარგამაძემ.

გიორგი თარგამაძის თქმით, მთავრობა უპირველესად, უნდა გადადგეს იმის გამო, რომ მოკლებულია პროგნოზირების ყოველგვარ უნარს... **„მთავრობა 2015 წლის აღმშენებლობაზე გველაპარაკება და არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ აღმოვჩნდით იმ ორმოში, რასაც საქართველოში არსებული ფინანსური, ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვითი, საგანმანათლებლო და სოფლის მეურნეობის კრიზისი ჰქვია.**

**მთავრობა უნდა გადადგეს იმის გამო, რომ წლების განმავლობაში არად აგდებდა სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელობას. ძალიან კარგად მახსოვს, რომ სამი წელი „ქრისტიან-დემოკრატები“ ვიძახდით, რომ სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი სფეროაო, რაზეც გვეუბნებოდნენ, რომ ვიყავით „ჩამორჩენილები“, „გოიმები“, ეკონომიკურ ცენტრს და ინდუსტრიულ ოაზისს აშენებდით, სინგაპური და ჰონკონგი უნდა გავმხდარიყავით.**

**ახლა ვინაა გოიმი და დროის განზომილებაში აცდენილი პოლიტიკური ძალა? ჩვენ თუ თქვენ — აგრარული მთავრობა, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის 7 წლის შემდეგ ხვდებით, რომ სოფელს თურმე აღმშენებლობა სჭირდება?.. საქართველოს მთავრობა უნდა გადადგეს იმის გამო, რომ ბიზნესს უყურებს, როგორც მეწველ ძროხას, რომელსაც ბალახის ჭამის საშუალება არ უნდა მისცეს“?..**

გიორგი თარგამაძემ დასძინა, რომ ბიზნესმენობა და მეწარმეობა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საშიში პროფესიაა. მისი თქმით, მთავრობის მიერ დეკლარირებული ახალი ეკონომიკური კურსი დარჩება რიცხვებად და ვერ შეიძენს შინაარსს, ვიდრე არ მოხდება შედარებით მცირე ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია. მეწარმე რომ თავისუფლად გრძნობდეს თავს, ვითხოვთ გადაცდომის 25 ათასლარიანი ზღვარი, საიდანაც ბიზნესმენის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა იწყება, 50-60 ათას ლარამდე გავზარდოთ, — აღნიშნა თარგამაძემ, — **„რომ ეს არ იყოს კრიმინალური საქმე და ადამიანს ბიოგრაფია იმისთვის არ გაუფუჭდეს, რომ ერთ დოკუმენტზე ხელის მოწერა დაავიწყდა. ამ ადამიანების თავზე სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა დამოკლეს მახვილივით არის ჩამოკიდებული“?**

თარგამაძის განმარტებით, საწარმოები ჩერდება, ბიზნესები იხურება, საქართველოდან გარბიან ქართველები და უცხოელები, სხვა ქვეყნებში გააქვთ ინვესტიციები, სხვაგან ქმნიან სამუშაო ადგილებს და სხვა ქვეყნებს ავითარებენ. სახელმწიფოს ასეთი მიდგომა ერთ-ერთი მიზეზია სხვა მიზეზთა შორის, რის გამოც მთავრობა სრული შემადგენლობით უნდა გადადგეს.

საპარლამენტო ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ წევრს, დეპუტატ **დიმიტრი ლორთქიფანიძეს** საპარლამენტო უმრავლესობის გამოსვლებმა ცეკას ყრილობები გაახსენა. **„ეს არის რეჩიტატივში წაკითხული კანტატა პარტიაზე“,** — დასძინა ლორთქიფანიძემ. ეტყობა, უმრავლესობის წევრებმა ღვარძლის ნთხევისთვის ტრენინგი გაიარესო. **„აქ არის დემაგოგია, რომელსაც ვისმენთ მთელი კვირა. დიახ, ბევრი კი არ გაქვთ გასაკეთებელი, თქვენ ბევრი გაქვთ ფული, რომ მომავალი არჩევნებიც მოიგოთ“,** — დასძინა ლორთქიფანიძემ.

მწვავე მოხსენებით გამოვიდა პარლამენტის ვიცე-სპიკერი **ლევან ვეფხვაძე.** მან იკითხა, იცოდა თუ არა ნიკა გილაურმა, რომ ებრაელ ბიზნესმენებს რონი ფუქსსა და ზეევ ფრენკელს საქართველოში დაპატიმრება ელოდათ.

**„იცოდა თუ არა ნიკა გილაურმა, როცა ამ ბიზნესმენებს ეპატიჟებოდა, რომ ისინი საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში დაპატიმრებული იქნებოდნენ? თუ არ იცოდა, ე. ი. მას არ ჰქონდა უწყებებისგან შესაბამისი ინფორმაცია, რაც ცუდია. თუ იცოდა, ნიშნავს, რომ ეს ადამიანები დასაპატიმრებლად ჩამოიყვანა“,** — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

მისი თქმით, მოსახლეობის დაცვა და ნორმალური სოციალური პირობების შექმნა უინვესტიციებოდ არ მოხერხდება. **„იმ ქვეყანაში, სადაც პრემიერი, ნებით თუ უნებლიედ, ხელს უწყობს მსგავს პროვოცირებას, შედეგად ვიღებთ იმას, რაც მივიღოთ — საქართველოდან ისრაელში რამდენიმე ვიზიტი ჩაიშალა. ისრაელი სარაკეტო დარტყმებს არ მოგვაყენებს, მაგრამ ამის გაკეთება დიპლომატიურ ენაზე გინებას ნიშნავს“,** — განაცხადა ვეფხვაძემ.

# „ჩვენ გვყავს არა ეფექტური, არამედ დეფექტური მთავრობა, რომელიც აქამდეც უნდა გადამდგარიყო...“



საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარემ გიორგი ახვლედიანმა გორიოში 300-მდე ოჯახისთვის მიწების ჩამორთმევაზე გაამახვილა ყურადღება — საინტერესოა, რას უპირებს ხელისუფლება ამ ადამიანებს? — იკითხა ახვლედიანმა.

ოპოზიციას დებატებში არც უმრავლესობა „ჩამორჩა“ — თუ ოპოზიციამ ხელისუფლება კითხვებზე პასუხის გაცემაზე თავის არიდებაში დაადანაშაულა, უმრავლესობის წევრებმა ოპოზიციას უსაყვედურეს იმის გამო, რომ მათ ვერ მოისმინეს კონკრეტულ პრობლემებზე გამოსვლის გზების დასახვა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა **მიხეილ მაჭავარიანმა** აღნიშნა, რომ თუ ოპოზიცია ხელისუფლებას რეალურ გზას დაანახვებს, მმართველი გუნდი ოპოზიციას გაჰყვება.

**„კრიტიკა არ არის გზა, რამაც გამოსავალი უნდა მოგვიტანოს. ამ პროცესში ჩვენ არ გვინდა ვიყოთ მარტო, სამშვიდობოზე ბოლომდე ერთად გავიტანოთ, მაგრამ ამას ბილიკის გარდა, ხელდაკაპიწებული მუშაობა უნდა. თუ გზას დაგვანახებთ, წამოვალთ“,** — განაცხადა მაჭავარიანმა.

უმრავლესობის წევრმა **პავლე კუბლაშვილმა** განაცხადა, რომ ჯონდი ბაღათურიამ მთავრობის გადადგომა იმიტომ მოითხოვა, რომ პატიმრების გათავისუფლება სურს.

**„ასეთი სურვილი ბევრს აქვს, თუმცა საქართველო, იმ სამყაროს აღარასოდეს დაუბრუნდება. „ვარდების რევოლუციამდე“, საქართველოში 5000 მხოლოდ კრიმინალური ავტორიტეტი იყო და გაუგებარია, რატომ უნდა გამოუშვან ეს ხალხი ახლა გარეთ“?** — განაცხადა კუბლაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა **პეტრე ცისკარიშვილმა** ოპოზიციას თაღლითი და მექრთამე ბიზნესმენების დამცველი უწოდა.

**„არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო ვეფხვაძის მიერ კიდევ ერთხელ წამოწეულ ერთ-ერთ ე. წ. ბიზნესმენის რონი ფუქსის საკითხს. ბატონო ოპონენტებო, როდემდე უნდა იყოთ თაღლითი, მექრთამე ბიზნესმენების დამცველები, რომელმაც 90-იან წლებში ქრთამის გადახდით მოიპოვა რაღაც დოკუმენტი და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფოსგან ასობით მილიონი დოლარის გამოძალვას ცდილობს?“**

პრემიერ-მინისტრმა **ნიკა გილაურმა** შემაჯამებელ გამოსვლაში დასძინა, რომ ხელისუფლების მთავარი მიზანი — სამუშაო ადგილების შექმნა ჯერ შესრულებული არ არის, რასაც ბოლო 2 წლის განმავლობაში მსოფლიო კრიზისმა შეუშალა ხელი.

**„იმ დროს ჩვენი მიზანი არა ეკონომიკური წინსვლა, არამედ ეკონომიკისა და არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნება იყო“,** — აღნიშნა გილაურმა. მისი თქმით, ხელისუფლებამ დევნილთა მივიწყებულ პრობლემას **„თვალი გაუსწორა“:** დევნილთა პრობლემა 17 წლის განმავლობაში მივიწყებული იყო. ახლანდელმა მთავრობამ კი 2 წელიწადში გაუსწორა ვალი და სამოქმედო გეგმაც მოამზადა. 27 ათასამდე ოჯახი, ავად თუ კარგად, დაკმაყოფილდა. **„ცხადია, არის ხარვეზებიც, როცა ამხელა საქმეს შეეჭიდები, მაგრამ ამ საკითხზე ტყუილი მაგალითების მოყვანა არავის გამოადგება“,** — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მანვე უსაფუძვლო უწოდა ოპოზიციის კრიტიკას წამლების გაიაფებაზე. პრემიერ-მინისტრის თქმით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების დამტკიცების შედეგად, მრავალ აფთიაქში წამლების ფასი საგრძნობლად შემცირდა. მაგალითად, „დიაბეტონის“ ღირებულება — 28 პროცენტით, „ნიმესილის“ — 56 პროცენტით, ხოლო „ნოშპის“ ფასი 54 პროცენტით მოიკლო.

ნიკა გილაურმა განმარტა, აგრეთვე, თუ რატომ არ აისახა სახელმწიფო ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის დამატებით დაფინანსებისთვის დაპირებული 150 მილიონი ლარი. ოპოზიციამ ხელისუფლება გააკრიტიკა იმის გამო, რომ ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის დამატებითი დაფინანსებისთვის დაპირებული 150 მილიონი ლარის ნაცვლად მხოლოდ 9 მილიონია გათვალისწინებული.

**ასე რომ, დებატები პარლამენტში დასრულდა... და, როგორც ხშირად ამბობდნენ დეპუტატები, ხალხი თავად განსჯის, ვის მიემხროს და ვის — არა...**

**შორენა თამარაშვილი**

## პარტიებსა და მოძრაობებში

# დადებითი დღე

**2011 წლის 30 მარტი, „დადებითი შეფასების დღის“ სახელით შევა ქართული პოლიტიკის ისტორიაში.**

სწორედაც რომ დადებითი შეფასებების დღედ, რადგანაც თუ პარლამენტის სხდომათა დარბაზში პრემიერ-მინისტრი, საპარლამენტო უმრავლესობასთან ერთად, დადებით შეფასებას აძლევდა მთავრობის მუშაობას, და ჩვენი ჩინოვნიკების მიერ გაწეულ „ღვაწლს“, სახელისუფლებო ტელევიზიების საშუალებით, საქართველოს გაოცებულ მოსახლეობას ამცნობდა, „შერატონ მეტეხის“ საკონფერენციო დარბაზში, პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ მესამე ყრილობაც დამაკმაყოფილებლად თვლიდა საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ საქმიანობას.

პრინციპში „ეროვნული ფორუმის“ მესამე ყრილობა, რომელსაც 4 123 დელეგატი ესწრებოდა, მხოლოდ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას ისახავდა მიზნად.

არჩეულ იქნა ახალი ხელმძღვანელი ორგანო, სარევიზიო და სამანდატო კომისიები. მოხდა არსებული რესურსის შეფასება. დელეგატთა არჩევის პრინციპიდან გამომდინარე (20 წევრიდან — ერთი დელაგატიძ, ეროვნულ ფორუმს სულ ცოტა 8000 აქტიური წევრი ჰყავს, რაც პოლიტიკური ბრძოლის და სავარაუდო აქციებისთვის საკმაოდ კარგი ძალა აქვს.




ბუნებრივია, რომ ყრილობაზე გაკეთდა პოლიტიკური განცხადებები, რომლებიც ყრილობის დადგენილებაში „ეროვნული ფორუმის“ უახლოესი პერიოდის ამოცანებად ჩამოყალიბდა:

ქვეყანაში სხვადასხვა სფეროსა და დარგში არსებული მძიმე ვითარების გამომწვევი უმთავრესი მიზეზის — პოლიტიკური კრიზისის გამოაშკარავება და მისი დაძლევის აუცილებლობის გამოკვეთა;

პოლიტიკური კრიზისის აღმოფხვრის უმთავრეს დემოკრატიულ მექანიზმად სამართლიანი არჩევნების ჩატარების გამოყენების საკითხის ძირითად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დღის წესრიგად ჩამოყალიბდა;

პოლიტიკური ვითარების რეალური ცვლილებებით დაინტერესებული ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ნაწილის კონსოლიდაცია და მობილიზება სამართლიანობისათვის ბრძოლაში;

არჩევნების გაყალბების ინსტრუმენტების ნეიტრალიზების ან რეჟიმის მხრიდან უარის დაფიქსირებით მმართველი დე ფაქტო ძალის პოლიტიკურ-სამართლებრივი განიარაღებისათვის საჭირო ერთიანი განწყობის შექმნა ქვეყანაში;

სწორი პოლიტიკური პროცესის ირგვლივ საზოგადოების კონსოლიდაციის, სამოქალაქო თვითგამორკვევისა და ცვლილებებზე ორიენტირებული საზოგადოებრივი დაკვეთის შემნისადმი აქტიური ხელშეწყობა, მისი აღსრულების პოლიტიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობის აღება თანამოაზრეებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად;

სამართლიანობის დამკვიდრებისათვის ბრძოლის საყოველთაო-სამოქალაქო პროცესის გამთლიანება-გაფართოების საქმეში სრულფასოვანი პარტიული მონაწილეობა ახლადჩამოყალიბებული პოლიტიკური ბლოკის — „ეროვნული ფორუმი“ — ფორმატში“.

ამ პროცესისადმი საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა ყველა ხელმისაწვდომ დონეზე.

რადგანაც ყრილობა მხოლოდ შიდა საორგანიზაციო საკითხებს ეძღვნებოდა, კონკრეტული ქმედებების თარიღები არ გახმიანებულა.

საქართველოს მოსახლეობას კი მხოლოდ ის დარჩენია, რომ აქტიურად ადევნოს თვალი განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს და დაელოდოს ბედნიერ მომავალს.

იმ მომავალს, რომელსაც ხელისუფლებაც და ოპოზიციაც განუწყვეტლივ ჰპირდება.

ეჰ, დაპირებებით კი პირდება, მაგრამ...

**გია გაბრიჭიძე**

განსჯა

# უფრო მეტად არარაციონალური აღმოვჩნდით, ვიდრე ამის უფლება გვქონდა

(მეორე გვერდიდან)

ამ სისხლიან რიგში ისევ და ისევ იმ შეცდომას ვხედავ, რომ „ერთიანი კავკასიის“ იდეა იმ ეტაპზე არ უნდა წამოწეულიყო. როგორც ჩანს, ეს იდეა იმ პერიოდისთვის მეტისმეტად ნაადრევი იყო და რუსეთის მხრიდან ის ნაბიჯები გამოიწვია, რომლის მოწმენი ყველანი გავხდით. ასევე, დიდი შეცდომა იყო 2008 წლის მოვლენები, როცა ისევ იმპულსური, ემოციური რეაქციის გამო ძალიან რთულ ვითარებაში მოქცეულმა ხელისუფლებამ მოსახლეობის დაცვის აუცილებლობის მიუხედავად, უფრო იმპულსური ნაბიჯები გადადგა, ვიდრე იმ კონკრეტული სიტუაციისთვის აღმოჩნდა მიზანშეწონილი და მთელი რიგი სირთულეები გაუჩინა საქართველოს და იმ მომენტში – პრაქტიკულად მთელ მსოფლიოს.

**– ქვეყნისთვის იმ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ პროცესებში ჩართულ ადამიანთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მაშინაც, დღესაც პროცესები ქვეყნის გარედან იმართებოდა და ამდენი შეცდომაც იმიტომაც იყო დაშვებული. თქვენს მიერ ნათქვამი სწორედ ამ მოსაზრებას ეხმიანება. ამ მოსაზრებას სხვა ფაქტებითაც ხომ არ შეავსებდით და გაამყარებდით?**

– ამ თეზისთან დაკავშირებით მართებულად არ მიმაჩნია რაიმეს საბაბად მოშველიება. როგორც იტყვიან, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან. ქვეყანა, რომელიც თავის თავს კარგად არ მოუვლის, აუცილებლად აღმოჩნდება სხვა ქვეყნის ინტერესების სამსახურში. ის, რომ პროცესები გარედან იმართებოდა, გასაკვირი არ არის, ეს ბუნებრივი მოვლენაა. ის, რომ ჩვენ ვერაფერი გავითვალისწინეთ და ამისთვის არ მოვემზადეთ, ეს არის არაბუნებრივი და საძრახისი. მიზეზი ჩვენშია, თორემ გარეთ წვიმა და ქარი ყოველთვის იქნება. ჩვენ რომ გამოსავალი ვერ მოვნახეთ, ეს წვიმის და ქარის ბრალი არ არის.

**– ზემოთქმულის გათვალისწინებით, ახლა ქვეყნის წინაშე რა გამოწვევები და ამოცანები დგას?**

– იგივეა ამოცანა, – საქართველომ თავი უნდა დააღწიოს იმ ტენდენციას, რომელიც რუსეთს ყველა მიმართულებით, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში აქვს და რასაც გავლენის გაფართოება ჰქვია. ეს ყველასთვის პრობლემაა, მაგრამ საქართველოსთვის ეს აუცილებლობა იმით მძიმდება, რომ ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიები ამ ამოცანის მძევალია. მეორე პრობლემა გახლავთ ქვეყნის შიდასტაბილურობა. მესამე ამოცანა ის არის, რომ ქვეყანამ აილოს კურსი გააზრებულ ინტელექტუალიზებულ პოლიტიკურ პროცესებზე. ემოციური და იმპულსური პოლიტიკური ცხოვრების სტილი, რაც 20 წლის განმავლობაში გვახასიათებდა, საკუთარ თავში უნდა დაიძლიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერც ერთ ეკონომიკურ და საგარეო პრობლემას აზრიანად ვერ გადავწყვეტთ.

**– ქვეყნის უსაფრთხოება ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს, ქვეყნის სტაბილური განვითარების წინაპირობები, სულ მცირე, სრულად გასაგები არ არის და შეიძლება ითქვას, ბუნდოვანია. რაც შეეხება დემოკრატიის სრულყოფილებას, ცხადია, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. გამოდის, რომ 20 წელი ქვეყნის მშენებლობისთვის ვერც ეფექტიანად და ვერც რაციონალურად ვერ გამოვიყენეთ?**

– თუკი რაციონალურად ორიენტირებული არ ხარ, შესაძლებლობას რაციონალურად ვერ გამოიყენებ. სწორედ მაგას ვჩივი, რომ უფრო მეტად არარაციონალურნი აღმოვჩნდით, ვიდრე ამის უფლება გვქონდა. რაც შეეხება 20 წლის პრობლემებს, ვერ ვიტყოდი, რომ ეს 20 წელი დაკარგულია. ამ 20 წელიწადში, გინდ დღევანდელი და გინდ წინა ხელისუფლების ძალისხმევით, ქვეყანა დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი გახდა. საუბრის დასაწყისში ნავთობსადენზე სწორედ იმიტომ გავაკეთე აქცენტი, რომ დასავლეთზე მკაფიო ორიენტაცია ადრეც იყო, ახლა კიდევ უფრო გაძლიერდა და დასავლეთის ქვეყნებისთვის საქართველოსთან ალიანსი და პარტნიორობა კიდევ უფრო მისაღები გახდა. ეს ამ 20 წლის უდავო შედეგია. სხვა ყველაფერში, კარგი იქნება, თუ საკუთარ შეცდომებზე დასკვნებს გავაკეთებთ.

**– ოპოზიციის ლიდერებმა გააკეთეს განცხადებები, რომ საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად ხელისუფლებისა და „ოპოზიციური რვიანის“ მოლაპარაკებები ჩიხშია შესული; ოპოზიციის პრეტენზიებს უმრავლესობიდან პავლე კუბლაშვილმა უპასუხა და ოპოზიცია დიალოგის პროცესში, მუქარაში, შანტაჟსა და ულტიმატუმის ენით საუბარში დაადანაშაულა. ისეთი პირი უჩანს, რომ გაუმჯობესებული საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს...**

– ამ 20 წლის განმავლობაში ერთ-ერთი პრობლემური თემა საარჩევნო პროცესი იყო. სამწუხაროდ, ეს თემა დღესაც დღის წესრიგშია და ყურადღების ცენტრშია მოლაპარაკებები, რომელიც ხელისუფლებასა და 8 ოპოზიციურ პარტიას შორის მიმდინარეობს. ამ მოლაპარაკებებმა აჩვენა – ხელისუფლებას არა აქვს დიდი ინტერესი იმისა, რომ დარეგულირდეს პროცესი და ეს ბუნებრივია. ამ მდგომარეობაში არსებული საარჩევნო სისტემა თავის კლიმატიან-გარემოებიანად ხელისუფლებას იმის საშუალებას აძლევს, რომ არჩევნების შედეგად აკონტროლოს ძალაუფლების აღება. საარჩევნო გარემოს შეცვლა ხელისუფლების ინტერესებში არ არის. მას რომ ეს შეცვლა სჭირდებოდეს, ოპოზიციის, რვიანების, ცხრიანებისა და თორმეტიანების გარეშედაც ამ ცვლილებებს დაიწყებდა. რახან თვითონ არ დაიწყო, მისთვის ოპოზიციასთან დიალოგი პოლიტიკური მანევრია და არა – საარჩევნო გარემოს შეცვლის რეალური სურვილის დადასტურება. ამდენად, მოსალოდნელია გაჭიანურებაც, მოსალოდნელია ისიც, რომ ითქმება – თქვენ ულტიმატუმების ენით გველაპარაკებით და დიალოგს მიატოვებენ. ანუ დიალოგი არ წავიდეს ჩვეულებრივი, საქმიანი არგუმენტაციის შეჯერების რეჟიმში. ამაში ხელისუფლება აბსოლუტურად ლოგიკურია.

ოპოზიცია შეცდომას უშვებს. თუკი გინდა, მეორე მხარემ რაღაც ნაბიჯი გადადგას, ამისათვის უნდა არსებობდეს მოტივი, რატომ უნდა გადაიდგას ესა თუ ის ნაბიჯი. ამ მოტივზე ახლა იწყებენ დაფიქრებას, მაშინ როცა თავიდან დაფიქრება შეიძლებოდა. ეს მოტივი უნდა იყოს ხალხის განწყობილება ან უნდა იყოს ძლიერი უცხოური ზეწოლა, მთავარია, რომ ეს მოტივი უნდა არსებობდეს, მარტო იმიტომ, რომ დემოკრატია კარგად ჩატარებულ არჩევნებს გულისხმობს და მოდი, შენც კარგი არჩევნები ჩაატარე, ცოტა გულუბრყვილოდ გამოიყურება.

ოპოზიციის გულუბრყვილობა ამ 20-წლიანი ისტორიის ერთ-ერთი დამღაა. რა თქმა უნდა, ამ კანონს აქვს გამონაკლისი და ეს გამონაკლისი გახლდათ სააკაშვილის ოპოზიციონერობა. ოპოზიციონერობისას სააკაშვილი ძალიან პრაგმატული, რეალისტური პოლიტიკოსი იყო და ასეთად რჩება დღესაც. „ვარდების რევოლუციის“ წინ მას ასეთი გაუთვლელი და უშედეგო ნაბიჯები არ გადაუდგამს.

**კობა ბენდელიანი**

სიტუაცია

# მუამარ კადაფი: „სამწუხაროა, რომ ატომური ბომბი არ შევქმენით“

**ამ მობილური ტელეფონის ნომერი ჩვენმა ჟურნალისტებმა შეძლეს მიეღოთ ერთ-ერთი არაბული ქვეყნის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მეგობრული კავშირების წყალობით.**

**კაცი, რომელმაც ჩვენს ზარს უპასუხა ტრიპოლში, შედის მუამარ კადაფის უახლოეს გარემოცვაში. თავის დროზე ის სწავლობდა მოსკოვში, ამიტომ საუბარი რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ინტერვიუ მოგვცეს მოსაუბრის სრული ანონიმურობის პირობით.**

**– ესმის კადაფის, რა მდგომარეობაშიც აღმოჩნდა?**

– აქ ყველა რეალისტია და სასწაულის იმედი არავის აქვს. ჩვენი ძირითადი მიზანი ამჟამად არის, ვიყოთ რამდენიმე თვე ტრიპოლში, თუნდაც ბომბების ქვეშ. ყველაფერი, რაც საჭიროა ხანგრძლივი თავდაცვისთვის, კადაფის აქვს.

**– იარაღი?**

– არა. ფული. ჯარისკაცი უკეთ იბრძვის, როდესაც მას უხდი.

**– მერე რა იქნება?**

– ვნახავთ.

**– ეს სიმართლეა, რომ ლიბიის მთელი ავიაცია განადგურებულია?**

– ნატოს სამხედრო ძლიერებას ჩვენ ვერ გავუთანაბრდებით. ამაშია ჩვენი შეცდომა – დასავლეთის სანქციების გაუქმების შემდეგ უმალვე უნდა გვეყიდა რუსეთის იარაღი. ჩვენ ხელი მოვაწერეთ კონტრაქტს, მაგრამ დიდხანს ვაჭიანურებდით მის გამოყენებას. სი-ენ-ენ-ი ყოველთვის აცხადებს, რომ ლიბიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა უკვე აღარ არსებობს, შემდეგ კი კვლავ აჩვენებს, თუ როგორ ვესვრით მტრის თვითმფრინავებს. სად არის ლოგიკა?

**– იუგოსლავიას მოუწია დანებება სამი თვის შემდეგ...**

– კადაფი არ დანებდება. მან დაინახა, რომ მილოშევიჩი მოკვდა ციხეში, სადამმა კი თავი ჩამოიხრჩო. მას დასაკარგი არაფერი აქვს. მუამარი იბრძოლებს უკანასკნელ წვეთამდე.

**– და რამდენ ხანს? ამ კვირის განმავლობაში აჯანყებულებმა სამი ქალაქი დაიკავეს.**

– ყველა, ვინც კადაფის ებრძვის, არის საქმის კურსში: თუ ჩვენ წავაგებთ, მას ჩამოჰკიდებენ ქუჩის ფანარზე. სხვა ვარიანტი, თუ მოგერიება არა, ჩვენ არ გაგვაჩნია. ამერიკელები რომ არა, ჩვენ უკვე დავიკავებდით ბენგაზის. მაგრამ მიწისზედა შემოტევის წინააღმდეგ ლიბია ვერ გაძლებს.



**– როგორ ფიქრობთ, ნატომ მიაღწია წარმატებას ომში ლიბიის წინააღმდეგ?**

– მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საუკეთესო ავიაცია ერთი კვირის განმავლობაში ვერაფერს ახერხებს 6-მილიონიანი ქვეყნის ავიაციასთან ბრძოლაში. ეს ომი კი არა, ფარსია. დასავლეთმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ყოველგვარ ზრდილობას ზურგს აქცევს. 2008 წელს ერთმა პატარა სახელმწიფომ დაიწყო თავიანთი მეამბოხეების მკაცრად განადგურება. მას მხარში დაუდგა დიდი ქვეყანა. ეს ქვეყანა ყველამ დაგმო, დაგმეს მისი „აგრესიაც“. ვერ იცანით? მე ამას ვლაპარაკობ რუსეთისა და საქართველოს ომზე. არ ღირდა ამგვარი სიტუაციის გაჩენა ლიბიაშიც, და ამერიკელები უმალვე დადგნენ მეამბოხეების მხარეს. მაშინ რატომ არ დაბომბეს მათ თბილისი? კადაფის ბრალს სდებენ, რომ მან დახოცა 8 ათასი კაცი, მაგრამ არავის უჩვენებია ტელევიზიით, თუნდაც 20 ცხედარი. „კადაფის მხეცობის“ გამო ევროპაში არ გაქცეულა არც ერთი ლიბიელი. ახლა კი ნატოს დაბომბვებისგან გარბის ათასობით ადამიანი.

**– კადაფი ნაღვლობს რამეზე?**

– მხოლოდ იმაზე, რომ შეწყვიტა ბირთვული იარაღის დამუშავება. ატომური ბომბი რომ გვქონოდა, ვერავინ დაგვესხმოდა თავს.

**ვიქტორ მარტოვი.**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

მხარე

## „ზუგდიდში საჯარო რეესტრს საოლქო პროკურატურა განაგებს!“

**საქართველოს „რესპუბლიკური პარტიის“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნონა თოლორაია ხელისუფლებას ზუგდიდის რაიონის სოფლების: ანაკლიის, განმუხურის, ერგეტის მოსახლეობის პირადი საკუთრების ხელყოფაში ადანაშაულებს. „ხელისუფლების ძალმომრეობას სამეგრელოში საზღვარი არა აქვს, მაგრამ კოლხეთის მოსახლეობა არ შეეგუება მის აბუჩად აგდებას, ხელისუფლების ყველა ქმედება იქნება მხილებული. ანაკლიის, განმუხურის, ერგეტის მოსახლეობის 90 პროცენტს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წაართვეს მათ საკუთრებაში არსებული მიწები, რომელიც გატარებულია საჯარო რეესტრში. მოსახლეობა ითხოვს წართმეული ქონების დაბრუნებას ან ფულად კომპენსაციას, საჯარო რეესტრში გატარებული ქონება რომ ხელშეუხებელია.**

**საჯარო რეესტრი ზუგდიდში უუფლებო, უუნარო მდგომარეობაშია. არა აქვთ უფლება, გასცეს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის ამონაწერი. თანამშრომლები მხრებს იჩეჩავენ, რადგან ზუგდიდში საჯარო რეესტრს საოლქო პროკურატურა განაგებს, – აღნიშნა ბრიფინგზე ნონა თოლორაიამ.**

**ნონა თოლორაიას განმარტებით საზოგადოება პასუხს ელოდება ხელისუფლებისაგან. დაზარალებულ მოსახლეობას აქვს საპროტესტო განცდა. „არავინ არ არის შენების წინააღმდეგი, მაგრამ არა წართმევისა და წაგლეჯვის ხარჯზე. ჩვენ გვაქვს სათანადო დოკუმენტები და მათ საერთაშორისო ორგანიზაციებს გავაცნობთ. მიუხედავად შიშისა, მოსახლეობის დაშინებისა უკან დახევას და დათმობას არ ვაპირებთ. ამიტომაც ვმართავთ გამაფრთხილებელ ბრიფინგს, – დასძინა ნონა თოლორაიამ.**

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

გლობუსი

# ბრძოლა ნავთობისთვის თუ ლიბიელთა თავისუფლებისთვის?

**ორი კვირაა ლიბიის კრიზისი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. საინფორმაციო საშუალებები ზედმიწევნით გულმოდგინედ, ოღონდ ცალსახად აშუქებენ მოვლენებს, უკანასკნელი სიტყვებით მოიხსენიებენ ლიბიის რევოლუციის ლიდერს, აქებენ კოალიციურ შეტევას და სხვა. ერთი შეხედვით ადგილი აქვს კეთილის ბრძოლას ბოროტთან, თუმცა არ ჩანს ფინალი — ბოროტსა სძლია კეთილმან.**

მოჭარბებული ანტიკადაფური პროპაგანდის ფონზე მოკრძალებულად გაისმა განსხვავებული მოსაზრებაც — რისთვის იბრძვის კოალიცია, რა არის მისი საბოლოო მიზანი. ამერიკის კონგრესში დაისვა კითხვა რას ემსახურება ობამას გადაწყვეტილება ლიბიაზე თავდასხმასთან დაკავშირებით და რატომ იხარჯება მილიონები ამ სამხედრო ოპერაციაში. გაჩნდა დემონსტრაციებიც ომის შეწყვეტის მოწოდებით.

**უნდა ვიმედოვნოთ, რომ ლიბიაზე მასირებული საჰაერო თავდასხმა ადრე თუ გვიან შეწყდება. სისხლსმოწყურებულ დასავლეთს მობეზრდება მოსაწყენი ერთი და იგივე, მაგრამ ლიბიის ამბავი დიდხანს გაჰყვება მსოფლიოს, როგორც უნიათობის, უპასუხისმგებლობის, რაც მთავარია ძალისადმი ტრფიალის ფაქტორი.**

მეოცე საუკუნის ქარტეხილებსგამოვლილმა მსოფლიომ — ორი დამანგრეველი ომით, მშვიდობიან მოსახლეობაზე ბირთვული ბომბების გამოცდით, „ცივი ომით", თითქოს გამოძებნა ძალისმიერი პოლიტიკის მოსათოკი საშუალება, დიპლომატიით კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიანი გზით მოგვარება, მაგრამ არა! როგორც ჩანს, ვიდრე იარსებებს ადამიანი, იარსებებს ერთმანეთის დასათრგუნი ძალაც.

ახალი საუკუნის პირველმა დეკადამ ამ მხრივ სარეკორდო მოსავალი მიიღო — ერაყისა და ავღანეთის ომების, ლიბიის წინააღმდეგ კოლექტიური თავდასხმის სახით და სხვა. ყოველივე ამან თავისთავად გააჩინა კითხვა — რით განსხვავდება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ამხედრებული ხელისუფალისგან, ამ ხელისუფალის წინააღმდეგ ამხედრებული ე. წ. დემოკრატიული დასავლეთი? ორივე შემთხვევაში დაზარალებული ხალხია. გავიხსენოთ წინა შემთხვევები — აშშ-ს ადმინისტრაციის უკბილო მტკიცება, რომ თავდასხმით ის, სადამ ჰუსეინის პირსისხლიანი რეჟიმისგან ათავისუფლებდა ერაყელებს. რა ძვირი დაუჯდა ქვეყანას გათავისუფლება?. რატომღაც „გათავისუფლების" პროცესი დროში გაიჭიმა, უამრავი მსხვერპლით. **თვით ამერიკელი ექსპერტების გამოთვლით — მილიონამდე ერაყელი შეეწირა ამერიკელთა „სამშვიდობო, გამანთავისუფლებელ აგრესიას", მიწასთან გასწორდა ქვეყნის ინფრასტრუქტურა, ასეულ ათასობით ლტოლვილი მიაწყდა მეზობელ ქვეყნებს, კატასტროფულად გაიზარდა ნავთობის ფასები. დღე ისე არ ჩაითვლის ერთ ტერაქტს მაინც არ ჰქონდეს ადგილი — მსხვერპლით და ნგრევით. მშვიდობა არ ჩანს ერაყელთათვის ამერიკელთა მიერ „მშვიდობანაბოძებ" ქვეყანაში.**

უარესი მდგომარეობაა ავღანეთში, სადაც კოალიციონერთა ომი გრძელდება, მსხვერპლით, ნგრევით, ინფრასტრუქტურის მოშლით, სხვა „სიკეთეებით". ორივეგან ოპტიმიზმის პერსპექტივა თითქმის არ ჩანს. ორივე შემთხვევაში სანატრელი მშვიდობის დასადგურების შემდეგ ტრილიონობით დოლარი იქნება საჭირო დანგრეულის აღსადგენად. მაგრამ შეძლებს ომით ტრავმირებული თაობა ამის გაკეთებას? ფსიქიურად დაავადებულს, შეშინებულს, მორალურად განადგურებულს, ახლობლებდაკარგულს, ფიზიკურად დასახიჩრებულს გაუჩერდება აღორძინება. მეორე მსოფლიო ომის სინდრომიდან დღესაც ვერ გამოსულა მსოფლიოს უძლიერესი გერმანელი ერი.

**და ყოველივე ამის შემდეგ ისევ აგრესია. 2003 წლის ლოზუნგი სადამ ჰუსეინისგან ერაყის გათავისუფლება რეანიმინირებულია — კადაფისგან ლიბიის გათავისუფლების სახით.**

მაინც რა უბედურება ჩაიდინა „არამზადა", „კაცთმოძულე კადაფიმ? დასავლური მედიის მიხედვით ხელი აღმართა საკუთარ ხალხზე, მაგრამ ამ საქმეში კადაფი უნიკალურია?

**საკუთარ ხალხზე ბევრს აქვს ხელი აღმართული. მაგალითად: ჩინეთს ტიბეტში, ტიანანმენის მოედანზე, რუსეთს ჩეჩნეთში, მოლდოვას დნესტრისპირეთში, საქართველოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და სხვა. აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორები იმავე არაბულ სამყაროში — ბაჰრეინში, იემენში, საუდის არაბეთში, სხვა ქვეყნებში ნაკლებად დაიკვეხნიან დემოკრატიით, ადამიანის უფლებების დაცვით ან ჰუმანურობით, მაგრამ მათ წინააღმდეგ აგრესიული კოალიციები არ იქმნება. ამ შემთხვევაში ვაშინგტონისადმი მონური მორჩილებაა შუაში, თავში და ბოლოში. ხარ ამერიკისადმი ლოიალურად განწყობილი, რაც გინდა ის აკეთე საკუთარ სახლში. 2008 წელს საქართველოს ხელისუფალმა ხელი აღმართა, უფრო სწორად რაკეტები, მძინარე ცხინვალის საკუთარ მოსახლეობაზე, მაგრამ მის წინააღმდეგ დასავლეთს კოალიცია არ შეუქმნია. პირიქით, ფულადი ჯილდოც მისცა საპასუხო რუსული მოქმედების შედეგების მოსალბობად. დასავლეთი ათეულობით წლის განმავლობაში თვალს ხუჭავს პალესტინელთა ავტონომიაზე ისრაელის პერმანენტულ თავდასხმაზე. ორი წლის წინათ ისრაელის ავიაციამ გააუთოვა ღაზის სექტორი, ასეულობით მშვიდობიანი პალესტინელი გაისტუმრა იმქვეყნად, დაანგრია სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები, მათ შორის გაეროს შტაბ-ბინა. დასავლეთის მხრიდან არ ჰქონია ადგილი ისრაელის ხელისუფლების კოლექტიურ გაკიცხვასაც კი.**

ორმაგი სტანდარტი სწორედ ის ცუდი მაგალითია, რომლისკენაც სისტემატურად თითს იშვერს კადაფის მსგავსი დაზარალებული.

მე-20 საუკუნის დასასრულს და 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში მსოფლიომ საარაკო წინსვლას მიაღწია ტექნიკის, ტექნოლოგიის, კომუნიკაციის დარგში, მაგრამ ადამიანის გონებამ ვერაფერი მოუხერხა სისხლიანი დაპირისპირების მშვიდობიანად მოგვარებას. ისე, როგორც თემური წყობის დროს — ძლიერი იმარჯვებს. ამჯერად სწორედ ამასთან გვაქვს საქმე, თუმცა მედიის მიერ სხვაგვარად შეფუთულთან. სამხედრო კამპანიის დაწყებას საზოგადოების შემზადება ესაჭიროება, რაც ოპერაციის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე უზრუნველყო დასავლურმა მედიამ. პროპაგანდით გაბერილი საზოგადოება ჯერაც ვერ გარკვეულა რაშია საქმე. მან იცის, რომ კადაფი კაციჭამიაა. ასეთისგან ხალხის გადარჩენა კი წმიდათაწმიდა საქმეა.

ის, რომ კადაფი ანგელოზი არ არის, მტკიცება არ სჭირდება. ისიც ცნობილია, რომ 41-წლიანმა მმართველობამ დააოსა ხალხი. მაგრამ ყველა? განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს, რომ კადაფის ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც, ისე, როგორც ნებისმიერი ქვეყნის მმართველს. მოწინააღმდეგეთა რიგებშია 1969 წელს კადაფის მიერ დამხობილი მეფის მომხრეები, ქონებაჩამორთმეული ლიბიელი მდიდრები. ქვეყნის აღმოსავლეთი, კირინაიკა, რომელიც თავს თვლიდა და თვლის ტრიპოლიიდან დამოუკიდებლად.

მეორე მსოფლიო ომამდე ლიბიამ მძიმე პერიოდი გაიარა იტალიის 30-წლიანი ოკუპაციის სახით. იმჟამინდელი რეპრესიებისა და სხვადასხვა სახის დაავადებებისაგან ქვეყნის მოსახლეობის სამი მეოთხედი განადგურდა. არც ოკუპაციის შემდგომი პერიოდი იყო საამური. სწრაფად ამან გამოიწვია რევოლუციური ამბოხება. ქვეყანას სათავეში მოამარ კადაფი ჩაუდგა. ახალმა ხელისუფლებამ შეძლო მთელი რიგი რეფორმების გატარება, რამაც ლიბია არაბულ სამყაროში მოწინავედ წარმოაჩინა. უფასო განათლება, სამედიცინო მომსახურება, ქალთა ემანსიპაცია, მაღალი ხელფასები, უმუშევართა დახმარება (750 დოლარიძ, უფასო ბინები, ავტომანქანები და სხვა. ერთი ლიტრი ბენზინის ფასი 10 ცენტს არ აცდენია. ლიბია მდიდარია ნავთობითა და გაზით. თანაც ლიბიის ნავთობი არ შეიცავს მინარევებს. ლიბიის ენერგორესურსებით არაერთი ქვეყანა სარგებლობს, მათ შორის ევროპაც. ლიბიაში მუშახელის დეფიციტი იგრძნობა. ამიტომაც ამ ქვეყანაში მრავლად იყო (2 მილიონიძ მეზობელი ქვეყნების მუშები. თვით ლიბიელი თაკილობს შავ სამუშაოს. მას ურჩევნია უმუშევრების დახმარება.

სოციალიზმს, კომუნიზმს, მარქსიზმს გაცნობილი პოლკოვნიკი საკუთარი ქვეყნისათვის ე. წ. მესამე გზას ირჩევს — ბედუინურ სოციალიზმს, იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ტერორისტული აქტების მოწყობის სახით, რისთვისაც ისჯება კიდევაც ამერიკელების მიერ საჰაერო თავდასხმით. კადაფი ცვლის პოლიტიკას, უარს ამბობს ტერორიზმზე, ნებას რთავს უცხოურ ინვესტიციებს, აღიარებს დანაშაულს, იხდის მილიონობით დოლარს კომპენსაციის სახით და სხვა. დასავლეთიც კარს ულებს მას. მაგრამ ფარულად ცდილობს ექსცენტრული ლიდერის წინააღმდეგ არეულობის ორგანიზებას. უკანასკნელი წლების განმავლობაში მიმდინარეობს კადაფიზე განაწყენებულ ბობოლათა და ჩამოგდებულ მეფის მომხრეთა შორის სეპარატიზმის გაღვივება. კულმინაციას 18 თებერვალს ჰქონდა ადგილი, როდესაც ამბოხებულებმა ხელთ იგდეს სიდიდით მეორე ქალაქი ბენზგანი. ამბოხებულთა ხელში სხვა ქალაქებიც აღმოჩნდა. გონს მოსული პოლკოვნიკი ახდენს მობილიზაციას და იწყებს დაკარგული ქალაქების დასაბრუნებლად შეიარაღებულ ბრძოლას, რასაც დასავლეთი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდად აღიქვამს. **ძნელია განსაზღვრო სეპარატისტული რეგიონის წინააღმდეგ წარმოებული ომი გენოციდია თუ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ლიბიის ხელისუფლების წინააღმდეგ მიღებული რეზოლუცია არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს წისქვილზე არ ასხამს წყალს. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა ანტიკადაფური კოალიციის მოქმედებას. ჯობდა თავის შეკავება. იმედია, საქართველო ისე, როგორც ავღანეთში, საკუთარ სამხედრო თვითმფრინავებს არ გააგზავნის კოალიციის დასახმარებლად.**

ლიბიის წინააღმდეგ განხორციელებულმა საჰაერო თავდასხმებმა აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა გამოიწვია. რუსეთის პრემიერმა პუტინმა ამ აქტს შუასაუკუნის „ჯვაროსნული ლაშქრობა" უწოდა. მედვედევს არ მოეწონა პუტინის ფორმულირება და უმალ ტელევიზიით უპასუხა, თუმცა ჩემი აზრით, უმჯობესი იყო საჯარო განცხადებისგან თავის შეკავება. მედვედევ-პუტინის ვერბალური პაექრობა მსოფლიომ ისე აღიქვა, როგორც საჭირო იყო — დაპირისპირება ტანდემში, რამაც სიხარულის ზენიტში აიყვანა მედვედევის მომხრე რუსი ლიბერალები. არც იმის თქმა იყო საჭირო, როგორ „გაატარებინა" რუსეთმა ამერიკელთა მიერ მომზადებული რეზოლუცია უშიშროების საბჭოს. სწორედ ამ გატარებამ გამოიწვია მშვიდობიანი ლიბიელი მოსახლეობის უმოწყალო ხოცვა, შექმნა აფრიკის ჩრდილოეთში ხანგრძლივი სამოქალაქო ომის კერა.

სულ მალე მსოფლიო კოალიციის მოქმედებას ნეგატიურად შეაფასებს. მას არც მედვედევის „გატარება" დაავიწყდება. ის, რომ, ამ „გატარებით" აშშ-მა კვლავ აიმხედრა მშვიდობის მოყვარული მსოფლიო, ეჭვგარეშეა, მაგრამ მსოფლიო რისხვას მიჩვეულია მსოფლიო ჟანდარმად წოდებული ქვეყანა.

ორი წელი დასჭირდა ამერიკის „პაციფისტ" პრეზიდენტს საკუთარი ომის წამოსაწყებად. ერაყისა და ავღანეთის ომები ხომ წინამორბედის წამოწყებულია? რით არის ობამა ნაკლები თავის წინამორბედებზე, რომლებსაც საკუთარ ომებში ჰქონდა ხელი გასვრილი? მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა ობამამ პრეზიდენტობის 2 წლის თავზე შეძლო იმის გაკეთება, რაც წინამორბედებმა უფრო მეტი დროის განმავლობაში. ქვეყნის პირველი პირისთვის, მით უმეტეს ამერიკის ნობელის პრემიის მინიჭება სერიოზული დაფიქრების საგანია, ვინაიდან აშშ-ს პოლიტიკური სტრუქტურა ისეა შექმნილი, რომ ძალაუნებურად მოითხოვს მსოფლიო გამოწვევებზე სწრაფ სამხედრო რეაგირებას. თვალს დახუჭავს პრეზიდენტი — შიდა კრიტიკის ქარცეცხლში მოექცევა. იაქტიურებს — როგორც შიდა ისე გარე ქარცეცხლში. ლიბიის ეპოპეას რომ ობამას მოწინააღმდეგე რესპუბლიკელები წარმატებით გამოიყენებენ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, ეჭვს არ იწვევს. აი სწორედ მაშინ შეფასდება კოალიციური თავდასხმის დირიჟორობა და აშშ-ს ადმინისტრაციის მონაწილეობა მესამე ომში.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.



ინფორმაცია

## ბელორუსი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს შემოიღებს

**ბელორუსმა საქართველოსთან, შესაძლოა, სავიზო რეჟიმი შემოიღოს. ამის შესახებ განცხადება ბელორუსის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ ანდრეი კორლუკოვმა გააკეთა.**

**„რია ნოვოსტის" ინფორმაციით, კორლუკოვმა აღნიშნა, რომ ბელორუსისთვის საქართველოსთან სავიზო რეჟიმის არარსებობა პრობლემას წარმოადგენს, რადგანაც საქართველოს არაერთი მოქალაქე ბელორუსიაში მოხვედრის შემდეგ რუსეთში თავისუფლად გადადის, ისე, რომ რუსული ვიზა არ გააჩნია.**

ხო-ეიბ-ენო

რიტორიკული კითხვები

# მგლის შიში თუ ჩიჩიას სიყვარული?

(მეორე გვერდიდან)

აი, თუნდაც ასეთს: **ხელისუფლება მართლაც საგ-ნობრივად რომ იყოს დაინტერესებული თავისი მო-სახლეობის მაღალხარისხიანი პროდუქციით მომა-რაგებით თუ არა, თუნდაც მისი ვარგისიანობის შე-მოწმებით, ერთი ლაბორატორია მაინც არ გვექნე-ბოდა, რომლითაც დადგინდებოდა, სუფთა ჭვავის ფქვილისგანაა გამომცხვარი ე. წ. „შავი პური“, ჩვენთან რომ ასეთი სახელწოდებით იყიდება, თუ სალებავ-შერეული ჩვეულებრივი თეთრი ფქვილით?**

**არა გვაქვს და ვერც (თუ არც?!) იმას ადგენს ვინ-მე, საკვებად ვარგისი მაინც თუა ის სალებავი!**

ჰოდა, მიირთმევენ ასეთ „შავ“ პურს დიაბეტის ან სხვა დაავადების მქონე თუ დიეტაზე ყოფნის გა-მო ექიმთა მიერ თეთრი პურის ჭამააკრძალული ჩვე-ნი მოქალაქეები და... თუ არ იწამლებიან, გამოჯან-სალების მაგივრად უფრო ავადდებიან მაინც!

**ასეა: როცა „მაღალთ“ ჩიჩია უყვართ, „მდაბიოებს“ ხარისხიანი შავი პურიც არა აქვთ!**

# კაკალზე მეტად რატომ ჩხრიალებს ჩვენში აზერბაიჯანული „ბამბა“?

**საქართველოს პრეზიდენტი, მოგეხსენებათ, 11 თე-ბერვალს ყოველწლიური მოხსენებით წარსდგა პარ-ლამენტში. ისიც კარგად გეხსომებათ, როგორ შეა-ჩერა მან ქრისტიან-დემოკრატი ლევან ვეფხვაძე, რო-მელიც ხელისუფლებას ბუნებრივი გაზის მაღალი ტა-რიფის გამო აკრიტიკებდა, — იქნებ ერთი ქვეყანა მა-ინც დამისახელოთ, სადაც ეს ტარიფი ჩვენსაზე და-ბალი იყოსო.**

თქვენმა რეპლიკამ მეც გამიჩინა კითხვის დასმის სურვილი, ოღონდ ბატონი ლევანისთვის კი არა, თქვენთვის, ბატონო პრეზიდენტო.

**მაგრამ, რაკი ამჟამად გაზაფხულია და მარჩენა-ლი მიწის ხვნა-თესვის დროა** (იმ მიწისა, რომელსაც სადღეისოდ ჩვენივ უთავბოლობით მარჩე-ნალის ფუნქცია დავუკარგეთ და ყოველ მორიგ ვარდოსნო-ბის წელს მისი სულ უფრო მე-ტი ნაწილი გვრჩება დაუმუშა-ვებელ-უპატრონოდ მიგდებუ-ლი!), **ბუნებრივ გაზზე კი არა, მი-წის მოვლა-პატრონობისთვის აუცილებელ სხვა საწვავზე — „სალიარკაზე“ შეგეკითხებით, რომლის შესაძენი ფული ჩვენს გლეხობას არა აქვს** (არაფერს ვამბობ ტრაქტორების დაქირა-ვების სიძვირესა და იმაზეც, რომ ეს ტექნიკა სოფელში ლა-მის სანთლით არის საძებარი!).




სანამ პასუხს მივიღებდეთ (მეტი არაა ჩემი მტერი!), „შპარ-გალკისთვის“ მე ჩამოგითვლით რამდენიმე ქვეყა-ნას და იქაურ ფასებს. თუმცა მანამდე, შედარებისთვის, ჩვენი ფასებიც ვთქვათ:

მაშ ასე: დღეს ჩვენთან ერთი ლიტრი **„ევრო დი-ზელი“ 2,35 ლარი ღირს, „სუპერი“ ბენზინი — 2,30 ლა-რი;** უფრო დაბალი ხარისხის „სალიარკის“ **„დიზელ ენერჯის“ ერთი ლიტრი 2,20 ლარი ღირს,** ასევე ბევ-რად უფრო დაბალი ხარისხის **„რეგულარი“ ბენზი-ნის ერთი ლიტრი — 2, 15 ლარი.**

**ანუ ჩვენთან დიზელი ბენზინზე ძვირი ღირს, რაც, ცხონებული ნიკო ორველაშვილისა არ იყოს, ისევე გასაკვირია, მაჭარი რომ ხარისხიან ღვინოზე ძვი-რი ჯდებოდეს!**

ახლა კი „აფბას“ მონაცემებით ვნახოთ, რა მდგო-მარეობაა ამ მხრივ სხვა ქვეყნებში (ღირებულება გამოყვანილია იქაური ფასების ეკვივალენტ ლარებ-ში):

**აზერბაიჯანში:** დიზელი — 0,74 ლარი, ბენზინი — 0.98 ლარი;

**ბელარუსში:** დიზელი — 1,48 ლარი, ბენზინი — 1.70 ლარი;

**ფინეთში:** დიზელი — 2.85 ლარი, ბენზინი — 3.55 ლარი;

**საბერძნეთში:** დიზელი — 3,12 ლარი, ბენზინი — 3.55 ლარი;

**იტალიაში:** დიზელი — 3,26 ლარი, ბენზინი — 3.64 ლარი;

**იაპონიაში:** დიზელი — 1, 63 ლარი, ბენზინი — 3.02 ლარი;

**ლიტვაში:** დიზელი — 2.76 ლა-რი, ბენზინი — 2.92 ლარი;

**მოლდოვაში:** დიზელი — 1.70 ლარი, ბენზინი — 1.84 ლარი;

**პოლონეთში:** დიზელი — 2,85 ლარი, ბენზინი — 3.02 ლარი;

**რუმინეთში:** დიზელი — 2.52 ლარი, ბენზინი — 2.80 ლარი;

**რუსეთში:** დიზელი — 1.24 ლა-რი, ბენზინი — 1.41 ლარი;

**უკრაინაში:** დიზელი — 2.06 ლარი, ბენზინი — 2.35 ლარი;

**ვგონებ, კმარა ჩამოთვლა! ვფიქრობ, არც იმას სჭირდება ბევრი ფიცი-მტკიცი, რომ დიზე-ლის საწვავის გაიაფება, უფრო სწორად, მისი ნორმალურ ფასად შემოტანა-გაყიდვა** (ჩვენ ხომ იგი ძირითადად აზერბაიჯანიდან შემოგვაქვს და, თუ იქ დიზელის საწვავის ფასი 74 თეთრია, ჩვენ-თან სამჯერ უფრო ძვირად რად იყიდება? განა ისე-თი რა ჯდება მისი ტრანსპორტირება, განბაჟება თუ სხვა გადასახადები?) **მიწის დამუშავებასაც საგ-რძნობლად გააიოლებდა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლიანობასაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა!**

მაგრამ ამაზე ჯერჯერობით ფიქრითაც რომ არა-ვინ ფიქრობს (ხელისუფალთაგან, ცხადია!), ამას, სამწუხაროდ, დღევანდელი მძიმე ყოფა-რეალობაც ადასტურებს (რას ვიზამთ, მავანნი ჩიჩიას რომ ვერ ელევიან, ეს აქაც იგრძნობა).

**ამიტომაც ჩხრიალებს დღეს ჩვენთან კაკალზე მე-ტად აზერბაიჯანული „ბამბა!“**

# ახლა ჯერი თქვენზეა, ბატონო პრეზიდენტო!

**ისიც უთუოდ გეხსომებათ, პატივცემულო მკითხვე-ლებო, პარლამენტის იმავე სხდომაზე როგორ „ჩაჭრა“ პრეზიდენტმა კიდევ ერთი „ოპოზიციონერი“ დეპუ-ტატი გურამ ჩახვაძე — ელიტარულ კორუფციაზე რომ ლაპარაკობ, ამ გაჩახჩახებულ დარბაზში ზის მაგ ელიტის თითქმის ყველა წარმომადგენელი და, თუ რაიმე მამხილებელი ბრალდება-დოკუმენტი გაქვთ მათზე, ახლავე თქვითო.**

და იქვე დაამატა: როდესაც იუსტიციის მინისტ-რად მუშაობისას შევარდნაძის მაღალჩინოსნებს კორუფციონერობაში დავსდე ბრალი, ამის დასა-დასტურებლად იქვე მათი სრასახლების ფოტოე-ბიც ავაფრიალეო.

ანუ, შენც იგივე გააკეთეო.

„ოპოზიციონერმა“ მაშინ „ზადნი“ მისცა. ჩვენმა გა-ზეთმა კი თავისი 19 თებერვლის ნომრის პირველ გვერ-დზე გამოაქვეყნა დღევანდელი რამდენიმე მაღალჩი-ნოსნის მრავალსართულიან სასახლეთა ფოტოები.

თუ არ გინახავთ, იქნებ ახლა მაინც დაინტერეს-დეთ ამით და ისიც დაადგინოთ, მფლობელთა პა-ტიოსანი შრომით „აღმოცენდნენ“ ისინი, თუ იმ მუ-ქარანარევი დანაპირების შესრულება მოგიწევთ, პრეზიდენტად ახალარჩეულმა რომ და-დეთ: **ტელეკამერის წყალობით ახლა ნახეთ, როგორ ცხოვრობენ დღეს ჩვენი მინისტ-რები, და თუ ოთხი წლის შემდეგ მათი ყო-ფა-ცხოვრების პირობები საგრძნობლად (იგულისხმება — საეჭვოდ) გაუმჯობესდეს, მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამო!**


აკი, პატიოსნების ეტალონი ვართო?!

სხვებზე მერე ვილაპარაკოთ, მაგრამ ჩვენი გაზეთის ზემოაღნიშნულ ნომერში გამოქვეყნებული სრასახლების მეპატრო-ნეთ მაშინ იმათი მესამედი ღირებულებისა და ხარისხის შესატყვისი საცხოვრებე-ლიც რომ არ ჰქონდათ, ფაქტია.

**ასე რომ, ახლა ჯერი თქვენზეა, ბატო-ნო პრეზიდენტო!**

გულწრფელად ვამბობ: თქვენი კარ-გი ოჯახის სიმტკიცეს ყოველგვარი ცუდისგან ჯვარი სწერია, მაგრამ, ხომ იცით, ნათქვამია, დაპირებამ კაცს ცო-ლი გააშვებინაო.

**ჰოდა, შეასრულეთ დანაპირები! ამით თქვენი ავტორიტეტი მხოლოდ გაიზრ-დება!**

**რუსლან რუსია**

პრესკონფერენცია

**1 აპრილიდან თბილისის მასშტაბით მოძრავ სამარშ-რუტო ტაქსებზე მგზავრობის ღირებულება 40 პროცენტით, 50-დან 70 თეთრამდე იზრდე-ბა, რის მიზეზადაც მძღოლე-ბი დიზელის გაუგებარ გაძვი-რებას ასახელებენ.**

სასტუმრო „ძველ მეტეხში“ გამართულ პრესკონფერენცი-აზე „აფბა“-ს პრეზიდენტმა მე-რაბ ჯანიაშვილმა განაცხადა, რომ მგზავრობის საფასურის გაზრდას მძღოლებს იმიტომ აბრალებენ, რომ საზოგადოე-ბის მოსალოდნელი პროტესტი მიმართული იყოს არა ტენ-დერში გამარჯვებული კომპა-ნიების, არამედ სამარშრუტო ტაქსების მძღოლებისკენ. ამ ქმედებაში კი მათ მეორე ხე-ლისუფლებასთან დაახლოე-ბული ბიზნესსექტორი, — ნავ-თობპროდუქტების იმპორტი-ტის იმპორტი სწორედ აზერბა-იჯანიდან ხდება.

„აფბა“ მიიჩნევს, რომ ნავთო-ბიმპორტიორი კომპანიები „მარშრუტკების“ მძღოლებს მგზავრობის ფასის გაზრდას აიძულებენ: „1 სექტემბრიდან კი, როცა თბილისში ახალი სამარ-შრუტო ტაქსები შემოვა და ბა-ზარიც რეალურად ახალი მო-ნოპოლისტის ხელში გადავა, ახალ მფლობელს გაძვირებული ტარიფით შეეძლება ოპერირე-ბა, ხოლო დიზელის იმპორტს ან თვითონვე განახორციელებს - ბევრად იაფად, ან კიდევ იმ სქე-მით იმუშავებს, როგორიც დღეს ყვითელი ავტობუსების შემთხვევაში ხდება (საბაზრო-ზე ბევრად დაბალ ფასად იღე-ბენ დიზელს), რაც შეეხება

# მგზავრობის ღირებულების გაზრდა მძღოლებს ბრალდებათ...

ორი კომპანიები აქტიურად ეხმარებიან.

სამარშრუტო ტენდერში გა-მარჯვებულმა ფირმამ ერთხელ უკვე სცადა მგზავრობის გადა-სახადის გაძვირება, რამაც „მარშრუტკის“ მძღოლების გა-ფიცვა და საზოგადოების პრო-ტესტი გამოიწვია. ამიტომ თბი-ლისის „სამარშრუტო ტაქსების მამებმა“ მგზავრობის გაძვირე-ბის ორიგინალურ ხერხს მიმარ-თეს — მძღოლებს გადაადგილე-ბის ტარიფის გაზრდას აიძუ-ლებენ და მათზე პასუხისმგებ-ლობის გადაბრალებას ცდი-ლობენ.

„აფბა“ ფიქრობს, რომ დღეი-სათვის დიზელის ბაზარზე არ-სებული სიტუაცია სამარშრუ-ტო ბიზნესში მომხდარის გამო-ძახილია: „საქართველოში დი-ზელის ბაზარზე წარმოუდგე-ნელ ფაქტთან გვაქვს საქმე, რო-დესაც დიზელის საწვავი ბენ-ზინზე ძვირი ღირს.“

ინფორმაციისთვის, დღეს სა-ქართველოში 1 ლიტრი „ევრო დიზელის“ ფასი 2,35 ლარია, ხოლო „დიზელ ენერჯი“ - 2,20 ლარი ღირს, მაშინ როდესაც 1 ლიტრი „რეგულარის“ ტიპის ბენზინის ფასი 2,15 ლარია, „პრემიუმისა“ კი - 2,25, ხოლო „სუპერი“ - 2,30 ღირს. ანუ „დი-ზელ ენერჯი“ „რეგულარზე“ ძვირია, ხოლო „ევრო დიზელი“ „სუპერზე“ ძვირი, რაც მსოფ-ლიო მასშტაბით უნიკალური შემთხვევაა, ქვეყნების აბსო-ლუტურ უმრავლესობაში, სა-დაც ნორმალური კონკურენ-ციაა და ქართული კანონმდებ-ლობის შესაბამისი ფასწარმოქ-ნა ხდება დიზელი ბენზინზე იაფია.

რამდენად ლოგიკურია აზე-რბაიჯანიდან, სადაც 1 ლიტრი დიზელის ფასი 75 თეთრს არ აჭარბებს, იმპორტირებული დიზელის ფასი საქართველოში 2,20 და 2,35 ლარი ღირდეს, ეს საზოგადოებამ თავად განსა-ჯოს. მით უმეტეს გასათვალის-წინებელია ისიც, რომ დღეი-სათვის ქართულ ბაზარზე არ-სებული დიზელის 75 პროცენ-



ფასს, ის რომ ალარ შემცირდე-ბა, ალბათ, ამის ვარაუდი არ-ცთუ ისე ძნელია.

საერთო ჯამში, დიზელის არაბუნებრივი და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ფასის გამო „მარშრუტკების“ მძღო-ლებს აიძულებენ, გააძვირონ მგზავრობა. აღსანიშნავია, რომ წლის დასაწყისიდან დღემდე დიზელის ფასი 20 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მგზავრობის ღირებულება 40 პროცენტით ძვირდება. აქ, როგორც იტყვი-ან, კომენტარიც ზედმეტია. ჩანს, მომავალმა მონოპოლისტმა „მარშრუტკების“ ბაზარზე არა მარტო გაზრდილი ფასით უნ-და იმუშაოს, არამედ მანვე უნდა უზრუნველყოს ოპერატიულად მოსახლეობისგან ახალი ყვითე-ლი „მარშრუტკების“ შემოსაყ-ვანი ფულის ამოღება,“ — ითქ-ვა პრესკონფერენციაზე.

მერაბ ჯანიაშვილი საქართვე-ლოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ვერა ქობალიას საქართველოს პარ-ლამენტში გაკეთებულ განცხა-დებასაც გამოეხმაურა: „როდე-საც ვერა ქობალია აცხადებს, რომ საქართველოში მონოპო-ლიები არ არსებობს, მაშინ ხე-ლოვნურ მონოპოლიებზე სასა-უბროდ მინისტრსაც და მის მრჩევლებსაც, „აფბა“ საჯარო დისკუსიაში იწვევს,“ — განაცხა-და ჯანიაშვილმა. ცნობისათვის: სამარშრუტო ტაქსებით მგზავ-რობა პირველი აპრილიდან 50 თეთრის ნაცვლად 70 თეთრი გახდება. ზოგიერთ ხაზზე მოძ-რავი სამარშრუტო მიკროავტო-ბუსით მგზავრობა კი თითქმის ერთი თვეა 70 თეთრი ღირს.

**ნატა ნიბლაძე.**

**P. S. ბ-ნ მერაბ ჯანიაშვი-ლის განცხადებას 1 აპრილი-დან სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ღირებულების გაძვირების თაობაზე, ზოგი-ერთი გაზეთი არ ადასტუ-რებს. როგორც იტყვიან, „ალი-ლო და ხვალეო“.**

მოგონებები შორეული ბავშვობიდან

# მას საქართველო დედასავით უყვარდა

ოცი წლის წინათ ქართველი ხალხის ისტორიაში მოხდა მოვლენა, რის შესახებაც დღემდე არ წყდება ცხარე დავა და დისკუსია. საქართველოში, პირველად საბჭოთა წყობილების პირობებში, გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (09.04.91წ, რომელსაც წინ უსწრებდა საქართველოს დამოუკიდებლობის თაობაზე მოწყობილი რეფერენდუმი (31.03.11წ. ყველას, ვინც იმ დღეებში არნახული ეროვნული სულიერი აღტყინების მოწმე გახდა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემახსოვრება ის მღელვარე და სასიამოვნო დღეები. თვენახევრის შემდეგ კი (26.05.91წ ქართველი ხალხი აირჩევს თავის პირველ პრეზიდენტს – ზვიად გამსახურდიას, ვინც სამუდამოდ დარჩება ქართველი ხალხის ხსოვნაში, როგორც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლო...

ზვიად გამსახურდია, პიროვნება, რომლის შესახებაც დღესაც საუბრობენ – დიდიან-პატარიანად, რომლის შესახებაც ბევრს წერენ, ბევრს დავობენ. პიროვნებას (ეს კი დრომ აჩვენაძ, უდავოდ, გამორჩეული, თვითმყოფადი, გამოუცნობი და ამავე დროს სავსებით ჩვეულებრივი. მისი მთავარი მიზანი – ადრეული სიჭაბუკის წლებიდან – იყო დამოუკიდებელი, თავისუფალი და ეკონომიკურად აყვავებული საქართველო, თვითმყოფადი ეროვნული კულტურის აყვავება, რისი გულისთვისაც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მსხვერპლად გაიღო თავისი სიცოცხლე.

დღეს მას 72 წელი შეუსრულდებოდა. თარიღი, რომ იტყვიან, არ არის მრგვალი და თითქოს საზაზიც არაა, მაგრამ ის ჩემი გულიდან, ისევე როგორც ასეული ათასობით ქართველის, კავკასიელების გულიდან არასოდეს ამოიშლება.

მე ზვიად გამსახურდიას თანატოლი ვარ, მისი ბავშვობა, სიჭაბუკე კარგად მახსოვს. მაშინ კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახი სოლოლაკში ცხოვრობდა, ყოფილ ჯაფარიძის ქუჩაზე, 13 ნომერში (ეს ქუჩა ახლა პაოლო იაშვილის სახელს ატარებსძ. ამ ქუჩაზე მაშინ ცხოვრობდნენ სხვა ქართველი ლიტერატორებიც. და თუმცა მწერალთა სასახლე (მაშინ ასე ეწოდებოდაძ, როგორც ახლა, მაჩაბლის ქუჩაზე იყო, სოლოლაკელები მწერალთა ქუჩას სწორედ ჯაფარიძის ქუჩას უწოდებდნენ. მაჩაბლის ქუჩაზე კი, სადაც თავად ლავრენტი ბერიას შტაბ-ბინა იყო განთავსებული, ცხოვრობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მაღალი თანამდებობის თანამშრომლები, ისინი ამ ქუჩას „ჩეკისტებისას“ ეძახდნენ.

მაგრამ სოლოლაკი-მთაწმინდის უბნის, რუსთაველის პროსპექტთან ერთად, კულტურული ცხოვრების მთავარი ღირსშესანიშნაობა გახლდათ შესანიშნავი საზაფხულო ბაღი კინოთეატრით, რომელსაც საუცხოო სახელი „სტელა“ ერქვა. ჩვენ აქ პატარაობიდანვე ვათენებდით და ვაღამებდით. აქ დავუმეგობრდით არა მხოლოდ ზვიადსა და მის უფროს დას თამრიკოს, არამედ ყველა ბავშვს მახლობელი ქუჩებიდან. შემდეგ, როდესაც გავიზარდეთ, ჩვენ ასეც გვეძახდნენ – „სტელას ბიჭებიო“, რითაც ვამაყობდით კიდეც.

კარგად მახსოვს შეუდარებელი ნატო ვაჩნაძე, რომელსაც „სტელაში“ მოჰყავდა ხოლმე პატარა, ცელქი შვილები – ელდარი და გიორგი. ამ ბაღში უყვარდა დასვენება კონსტანტინე გამსახურდიას მეუღლეს მირანდა ფალავანდიშვილს, ანუ, როგორც ჩვენ მას ვუწოდებდით შინაურულად, მათიკოს, თავისი ბავშვებით თამრიკოთი და ზვიადით. იქ ყოველთვის იყვნენ ძმები ჯანსუღ და ჯიმი ჩარკვიანები, შესანიშნავი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის შვილიშვილები – კოტიკო და ლევან ჭელიძეები, სილამაზით გამორჩეული გოგი ანდრონიკაშვილი და ჰეიდარ ფალავანდიშვილი, ბუბა კიკაბიძე, მიქაელ ტარივერდიევი, მშვენიერი მარინა კანდელაკი, მანანა ხიდაშელი და ბევრი, ბევრი სხვა.

მოვლენებს წინ გავუსწრებ და ერთ ფაქტს დავასახელებ, რომელიც კარგად ახასიათებს ჩვენი ბავშვობის სითბოს, ჩვენი წინაპრების პატივისცემას. მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ყოფილი სოლოლაკელი ბავშვები იქცნენ ცნობილ მწერლებად, მსახიობებად, პოეტებად, კომპოზიტორებად და ა.შ. მოხდა ღირსსახსოვარი ამბავი: 1977 წლის 1 აპრილს, როდესაც საქართველოს მწერალთა კავშირის სხდომაზე გამოიტანეს საკითხი ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვის შესახებ, ჯანსუღ ჩარკვიანი – ასაკით ჩვენზე უფროსი მეზობელი და მეგობარი – აღმოჩნდა ერთადერთი, ვინც, მიუხედავად „ზევიდან“ ზემოქმედებისა, წავიდა ამ უსამართლო გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ამაზე მაშინ მთელი თბილისი ლაპარაკობდა. ეს, ბატონო ჯანსუღ, „სტელას ბიჭებს“ გვახსოვს და გვემახსოვრება მთელი ცხოვრების მანძილზე.

... შემდეგ გამსახურდიას ოჯახმა ბინა გაუცვალა პროფესორ-ფარმაცევტს არისტარხ მშვიდობაძეს, კაცს, რომელიც დაახლოებული იყო ჩვენს ოჯახთან. მახსოვს, პროფესორი დიდად ამაყობდა, რომ დასახლდა იქ, სადაც თავის ოჯახთან ერთად საუკუნის მეოთხედი ცხოვრობდა და ქმნიდა შედევრებს დიდი კონსტანტინე გამსახურდია. ხოლო როდესაც 1959 წელს აშენდა ორიგინალური აგურის სახლი ვაკეში – „კოლხური კოშკი“, გამსახურდიას ოჯახი სოლოლაკიდან ვაკეში, თავისებურ პარნასში გადასახლდა. გამსახურდიების წყვილი – მირანდა და კონსტანტინე დროდადრო მოდიოდნენ ხოლმე არისტო მშვიდობაძესთან, თავიანთ ძველ მეზობელთან, ეწვეოდნენ ხოლმე მათთვის მშობლიურ „სტელას“. ჩვენც, ძველი მეზობლები და ბავშვობის მეგობრები ზოგჯერ მივდიოდით ზვიადთან და თამრიკოსთან „კოლხურ კოშკში“. ძალიან გვერიდებოდა ხოლმე ბატონი კონსტანტინესი, ვმორცხვობდით მის წინაშე. თავადაც გარკვეულ დისტანციაზე ვყავდით ჩვენ. მათიკო დეიდა კი თავისი ქმრის კონსტანტინესგან სრულიად განსხვავებული იყო. თითქმის ასეთივე სხვაობას ვგრძნობდით თამრიკოსა და მის სიტყვაძვირ ძმა ზვიადს შორის. მათი დედა, რომელიც ყველას თბილად და სიყვარულით გვეპყრობოდა, ოჯახური კეთილდღეობის ნამდვილი დედოფალი იყო. მას რომ ცოტა მეტი ეცოცხლა, დარწმუნებულილ ვარ, ზვიადის ბედი რამდენადმე სხვაგვარად წარიმართებოდა...





ზვიადის მამა ხალხს არჩევდა, თავისი შვილისგან განსხვავებით, მის ნაცნობთა შორის შემთხვევითი ადამიანები არ ყოფილან. მაგრამ მწერლები, პოეტები, მეგობრები, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები მისი სახლის ყოველთვის სასურველი სტუმრები იყვნენ. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა გულღია საუბრები ჰქონდათ მათ დროისა და მედროვეების შესახებ. ოჯახის რჩეული ზვიადი ხშირად ესწრებოდა ასეთ გულითად შეხვედრებს. ის ძალიან ლამაზი ახალგაზრდა იყო, გრუზა თმით, ჭკვიანი, იდუმალი თვალებით. ზვიადი შესანიშნავად უკრავდა პიანინოზე და ყოველთვის სარგებლობდა საზოგადოების რჩეულის რეპუტაციით. მაშინ ჩამოყალიბდა ზვიად გამსახურდიას ხასიათი – მეგობრების მეტად მოყვარული პიროვნებისა, რომელიც გამოირჩეოდა მეგობრებისადმი ყურადღებით და სითბოთი. ამავე დროს შეურიგებელი იყო მტრებისადმი, სიყალბისადმი, ორმაგი სტანდარტებისადმი, ვერ იტანდა სინდისისა და პატიოსნების ღალატს.

და აი, ჩვენს მეჩვიდმეტე გაზაფხულს გრიგალივით თავს დაატყდა 1956 წლის ტრაგიკული მარტი. საბურთალოელი, სოლოლაკელი და მთაწმინდელი, ვერელი და დიდუბელი, ავლაბრელი და ორთაჭალელი ჭაბუკები და ქალიშვილები, მთელი თბილისი, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ მოეშუშებინათ ტკივილი სტალინის გარდაცვალების გამო, თავის საუკეთესო პატრიოტულ გრძნობებში შეურაცხყოფილები გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში. მაშინ ბევრმა როდი იცოდა მთელი ჭეშმარიტება. სამაგიეროდ ყველამ იცოდა: თბილისის ქუჩებში ხვრეტდნენ უდანაშაულო ადამიანებს...

ძნელი არ არის დარწმუნდე, რომ 56 წლის მარტის დღეებმა დიდად განსაზღვრეს ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ხაზი, საბოლოოდ დაამკვიდრეს მასში არსებული რეჟიმის შეურიგებელი მტრისა და თავისუფლებისთვის აქტიური მებრძოლის სულისკვეთება. ავტომატების ჯერმა რუსთაველის პროსპექტზე, ათობით ახალგაზრდის სიცოცხლე რომ შეიწირა, ღრმა ჭრილობები დააჩნია ხალხს, მაგრამ ვერ გატეხეს იგი.

... გადიოდა დრო. როგორც ადრე, თბილისის ქუჩებში მოწიწებით ვუკრავდით თავს დიდ კონსტანტინე გამსახურდიას, რომელსაც ზოგჯერ უყვარდა ხოლმე გაჩერება „ლაღიძის წყლების“ მახლობლად. ეს მისი საყვარელი ადგილი იყო. ხალხი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა შავ ჩოხაში გამოწყობილ კაცს, რომელიც უფრო ყოფილ მოცეკვავეს ჰგავდა, ვიდრე ქართული ლიტერატურის კლასიკოსს, გაოცებული იყო მისი ამაყი წარმოსადეგობით. ჩვენ რატომღაც მის სახლს უფრო მივჩერებოდით, თითქოს გვინდოდა მიგვეღო პასუხები კითხვებზე, სულ უფრო და უფრო მეტი რომ გვიჩნდებოდა. ის თავის მსუბუქი დაქნევით უპასუხებდა მისალმებებს, მაგრამ მის თვალებში იგრძნობოდა სევდა. რუსთაველის პროსპექტი მაშინ იყო ადგილი, სადაც ხალხი პირველად გებულობდა თბილისის ახალ ამბებს. სწორედ იქ გავიგე, რომ ზვიად გამსახურდია პირველად დააპატიმრეს. ეს ჩვენთვის შოკის მომგვრელი იყო. ეს გამოსაშვები გამოცდების წინ იყო. თუ რისთვის დააპატიმრეს – ხეირიანად არავინ იცოდა. საუბარი შეეხებოდა პროკლამაციებს. ეს ყოველივე გვაფორიაქებდა.

გაცილებით გვიან, როდესაც თბილისის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ჩვენ, მომავალ ჟურნალისტებს, ერთი სემესტრის განმავლობაში ლექციებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში ზვიადის და – თამრიკო გვიკითხავდა. ის, როგორც ადრეც, უკიდურესად თავმდაბალი, უკიდურესად მორცხვი და უკიდურესად გულთბილი იყო! მახსოვს, თამრიკო ჟურნალისტების დღესასწაულს გვილოცავდა, ჩვენ მას დაბადების დღეს – 5 მაისს ვულოცავდით. უფრო ადრე კი, 31 მარტს ჩვენ დაბადების დღეს ვულოცავდით ჩვენს ზვიადს, და ხშირად ამას ვაკეთებდით თამრიკოს მეშვეობით.

ამ დროს ქალაქში ხელიდან ხელში გადადიოდა ზვიად გამსახურდიას თვითგამოცემული ტოტალიტარული რეჟიმის გამომააშკარავებელი ნაწარმოებები. ის, რაზეც ხალხს ხმამაღალი საუბრის ეშინოდა, ამ ნაწარმოებებში სააშკარაოზე იყო გამოტანილი. და თუ კომპეტენტური ორგანოებისთვის ზვიადი თავსატკივარი გახდა, სტუდენტურ წრეებში მასზე დაუფარავი აღფრთოვანებით საუბრობდნენ. ის არაფრად დაგიდევდა საფრთხეს, მერაბ კოსტავასთან და რამდენიმე ახლო მეგობართან ერთად დადგა ხელისუფლებასთან ღია კონფრონტაციის გზაზე.

1975 წლის 17 ივლისს გარდაიცვალა კონსტანტინე გამსახურდია. ზვიადს აღარ ჰყავდა აღარც დედა, აღაც მამა და აღარც და. ისე მოხდა, რომ ერთი წლით ადრე მე ვიყავი სამკურნალო კომბინატში სამკურნალოდ, მეზობელ პალატაში დააწვინეს ავადმყოფობისგან დასუსტებული თამრიკო. სხვათა შორის, მისი პალატა სამკურნალო კაბინეტის პირდაპირ იყო, საიდანაც 1959 წლის 19 მარტს, ფანჯრიდან გადახტა დიდი გალაკტიონ ტაბიძე. თამრიკოსთან რამდენჯერმე მივიდნენ ცალ-ცალკე კონსტანტინე გამსახურდია და ზვიადი. თამრიკოს არც დღისით, არც ღამით მარტოს არ ტოვებდა მისი მამიდაშვილი თათია ხაინდრავა. რაზე აღარ ვსაუბრობდით მაშინ. თამრიკო ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. ისევე წყნარად და მშვიდად, როგორც ცხოვრობდა. ალბათ, ასე მიდიან ამ ქვეყნიდან წმინდანები.

მალე ზვიადს ჰელსინკის ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად კვლავ აპატიმრებენ. მას წინ კიდევ ახალი დაპატიმრებები ელოდებოდა, მაგრამ ამჯერად ხალხი უკვე აღარ დუმდა: ალაპარაკდა ქართველი ინტელიგენცია, ბობოქრობდა სტუდენტი ახალგაზრდობა. რამდენი რამის გადატანა მოუწია ინტელიგენტის ოჯახში აღზრდილ ზვიად გამსახურდიას!.. ამის შესახებ ის არასოდეს საუბრობდა, მაგრამ ამაზე მეტყველებდნენ მისი თვალები, ადრე გათეთრებული თმა, მიმიკა, ჟესტი.

როდესაც მეგობრულ წრეში ზვიად გამსახურდიაზე ვსაუბრობთ, ვესაუბრებით მისი ბავშვობისა და სიჭაბუკის მეგობრებს, ყველა ერთი აზრისაა. ის დაიბადა ჭეშმარიტებისთვის მებრძოლად და ვერანაირი დაბრკოლება ვერ აიძულებდა გადაეხვია ამ გზიდან. ცნობილი მწერლის შვილის ბედნიერ, უზრუნველ ცხოვრებას, ხელისუფლების მოკრძალებას ზვიად გამსახურდიამ არჩია ხიფათითა და მოულოდნელობებით, ფიზიკური და მატერიალური ზარალით, სულიერი წამებითა და განცდებით აღსავსე ცხოვრება. ვინაიდან მან დედის რძესთან ერთად შეითვისა თავისუფლების წყურვილი, ყოველთვის ეჯავრებოდა შეგუებულობა, ორმაგი თამაში. მადლობა ღმერთს, ჩვენს საზოგადოებაში კონფორმიზმი არასოდეს ყოფილა დეფიციტური: ამის მაგალითი – ტრაგიკულიც და ტრაგიკომიკურიც – რამდენიც გინდა.

ზვიად გამსახურდიამ ყოველთვის და ყველაფერში შეძლო დარჩენილიყო ვითარებაზე ძლიერი, გაესწრო ჩვენთვის – მისი თანატოლებისთვის, და ბევრი სხვისთვისაც ცხოვრების განჭვრეტაში, და მისულიყო მისთვის საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების პირამიდის მწვერვალზე, ისე რომ, არა თუ არ დაეკარგა თავისი ხასიათის საუკეთესო თვისებები, არამედ სრულეყო კიდეც ისინი. მახსენდება ჩემი ამაღელვებელი შეხვედრები პარიზში, ლევილის უბანში, სადაც დაფუძნდა პირველი ტალღის ქართული ემიგრაცია. იქ, საფრანგეთში, თავისი სამშობლოდან კომუნისტების მიერ 1921 წელს გაყრილი ჩვენი ჭაღარა თანამემამულენი იმედით საუბრობდნენ, რომ მათი ოცნება დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს შესახებ მალე აღსრულდება. 80 წლის ვიქტორ ხომერიკმა კი – ნოე ჟორდანიას მთავრობაში მიწათსარგებლობის მინისტრის ნოე ხომერიკის შვილმა, როდესაც პარიზის გარე-ნორდის ვაგზალზე მაცილებდა, მითხრა: „მთელი ჩვენი იმედები – ეს ზვიად გამსახურდიაა. გაუფრთხილდით მას და დაეხმარეთ ყველაფერში!“ ეს 1989 წლის სექტემბერში იყო.

და აი, დადგა სანატრელი დღეც – 1990 წლის 14 ნოემბერი. საქართველო არასოდეს დაივიწყებს მას. როდესაც ზვიად გამსახურდიას საზეიმო-აღელვებულ სახეს უმზერდა, ასობით ათას მის თანამემამულეს თვალებიდან ცრემლი სდიოდა, და ამ ცრემლისა არავის რცხვენოდა. მათ იცოდნენ, რომ ყველა უბედურებისა და წამების დროს, რაც საქართველოს თავს დაატყდა, ყველაზე მეტად ზვიად გამსახურდიას უჭირდა. ყველას მზერა: მეგობრებისაც და მტრებისაც მისკენ იყო მიმართული. არასოდეს ყოფილა ის ისე ლამაზი, ამაღლებული და ბედნიერი, როგორც იმ ღირსსახსოვარ დღეს. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელის პოსტზე თავის პირველსავე სიტყვაში ზვიად გამსახურდიამ თქვა: „... დაე, იცოდეს, ყველამ, რომ ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძვით ჩვენი წინაპრების რელიგიური და ეროვნული იდეალებისთვის, რომ უფალმა საქართველოს დააკისრა დიდი მისია. ჩვენ ვებრძვით ულვთოობისა და უსამართლობის მარადიულ ღამეს. ჩვენს სამართლიან საქმეს მფარველობს უზენაესი, ამიტომ ჩვენ გავიმარჯვებთ. ქართველი ხალხი არ წავა ულვთოობის, ძარცვა-გლეჯისა და ტერორის გზით. ქართველი ხალხის გზა – ეს არის გულმოწყალეობის გზა, სიმამაცის გზა, სიყვარულის გზა...“

რამდენი დაბრკოლების, რამდენი ღალატის, რამდენი ტანჯვის გადატანა მოუწია მას ამ დროის განმავლობაში, ზოგჯერ ყველაზე ახლობლებისგან, თავისივე თანამემამულეებისგან, მისი გულისთვისაც ეზიდებოდა იგი თავისუფლების მძიმე ჯვარს. ადამიანი რკინა როდია, მაგრამ ვითარებას რკინის გამოხვრაც შეუძლია. ზვიად გამსახურდიაც, რასაკვირველია, არ ყოფილა ზეადამიანი. მას ჰქონდა თავისი ადამიანური სისუსტეები, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს აქვს. მასაც სტკიოდა, როგორც თითოეულ ჩვენგანს, როდესაც გღალატობენ ახლობლები, ხალხი...

... საქართველო ჩვენი საერთო სახლია, სადაც ცხოვრობდნენ და კვლავაც ქართველებთან გვერდი-გვერდ იცხოვრებენ აფხაზები და ოსები, ებრაელები და სომხები, აზერბაიჯანელები და ბერძნები, რუსები და უკრაინელები, მრავალი ეროვნების ადამიანები. ჩვენ ყველა ერთად ვიქნებით მისი მშენებლები და მხნელ-მთესველები, ვინაიდან საქართველოს მიწა – ეს შემოქმედთა მიწაა. აი, ხუროთმოძღვარს კი უფალი გამოგვიგზავნის, უსათუოდ გამოგვიგზავნის.



**ლევან დოლიძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის თბილისის აქტიური მონაწილეობით ტერიტორიული დავა ჩაღდება

**29 მარტს მოსკოვში გაიმართა აფხაზეთსა და რუსეთს შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის ორმხრივი კომისიის პირველი სხდომა. მოლაპარაკება დაიწყო აფხაზეთის ოპოზიციის მორიგი დემარშის ფონზე – მან ეჭვი შეიტანა რესპუბლიკის ხელისუფლების მცდელობაში „გაყიდოს ეროვნული ინტერესები“. საბაბად იქცა დავა სასაზღვრო სოფელ აიგბასთან დაკავშირებით. საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ნავთს ასხამენ ახალი კონფლიქტის კოცონზე.**

ოპოზიციურმა პარტია „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმმა“ შეშფოთება გამოთქვა „კომისიის მუშაობის წინასწარ ეტაპზე გაჩენილი ცნობების გამო იმის განზრახვასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი გაგრის რაიონის ჩრდილო-დასავლეთში უნდა გადავიდეს რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ“. ეს, როგორც პარტიის განცხადებაში არის აღნიშნული, „იწვევს მთელი აფხაზი ხალხის განგაშს“. ამავე დროს პარტია მიუთითებს, რომ ეს ცნობები გაჩნდა აფხაზეთის ხელმძღვანელობის მხრიდან საჯარო ინფორმაციის უქონლობის ფონზე.

„აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობაზე ნებისმიერი ხელყოფა, ვისგანაც იგი უნდა მომდინარეობდეს, უსათუოდ შეფასდება ჩვენი საზოგადოებრიობის მიერ, როგორც ანტიკონსტიტუციური, ანტიაფხაზური მოქმედება, აქედან გამომდინარე ყველა სათანადო პოლიტიკური შედეგებით“, – აცხადებს აფხაზეთის ოპოზიცია.

როგორც აფხაზეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ირინა აგრბამ განიხილა, სოხუმს ხელს არ აძლევს, რომ რუსეთის პროექტში სოფელ აიგბას აფხაზური ნაწილის მიკუთვნება რუსეთის ტერიტორიისთვის. მისი სიტყვებით, აფხაზეთი დაბეჯითებით მოითხოვს საზღვრის დამტკიცებას იქ, სადაც იგი გადიოდა აფხაზეთსა და კრასნოდარის მხარეს შორის. დამოუკიდებელი გაზეთის „ჩეგემსკაია პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა ინალ ხაშიგმა აფხაზეთის სახელმწიფო სააგენტო „აფსნიპრესს“ უთხრა, რომ აფხაზეთის დელეგაციის მთავარი მოლაპარაკე ვალერი კვარჩია მოსკოვში აცილებდნენ სიტყვებით: „არ დაარტყოთ, თუ დაუთმოთ, თუნდაც ერთ კვადრატულ მეტრ აფხაზეთის მიწას“. ჟურნალისტის ცნობით, მოსკოვს განზრახული აქვს მიითვისოს გაგრის რაიონის ტერიტორიის 20 პროცენტი.



აღნიშნავთ, რომ ამგვარი ხმები აფხაზეთში, ალბათ, ჩნდება არცთუ საქართველოს მხარის დაუხმარებლად. მაგალითად, ერთ-ერთი პირველი პრობლემასთან დაკავშირებით გამოვიდა პროპაგანდისტული ქართული საიტი „ჩვენი აფხაზეთი“, რომელიც შეიქმნა სპეციალურად გამოყოფილი რესპუბლიკის მცხოვრებთა ტვინების გამოსარეცხად. მან ასეთი რამ განაცხადა: „სოხუმიდან შემოსული ცნობებით, რუსეთი ცდილობს, მიითვისოს აფხაზეთის ტერიტორია. საკითხი შეეხება 160 კვ კილომეტრ ფართობს.

აფხაზეთში გაისმის ხმები, რომლებიც მოუწოდებენ ჯერ გადაჭრან პრობლემები. ოპოზიციური პოლიტიკოსი იაკუბ ლაკობა მიიჩნევს, რომ ხმაური ამ საკითხთან დაკავშირებით ნაადრევად არის შემოწეული – დისკუსია გაჩაღდა კიდევ ერთ მოუმზადებელ და ხელმოუწერელი დოკუმენტის გარშემო.

აღნიშნავთ, რომ ზუსტად ასეთივე სცენარით გაიმართა ამ ცოტა ხნის წინათ სახმაურო სასტროფელ დავასთან დაკავშირებული რუსეთ-აფხაზეთის კომისიის გარშემო, როდესაც აფხაზეთის ოპოზიცია უსაფუძვლოდ ბრალი დასდო რუსეთს განზრახვაში, განახორციელოს რესპუბლიკაში ქართველ დევნილთა მასობრივი დაბრუნება. ცხადია, რომ „პატრიოტულ რუჯას“ აფხაზური ოპოზიცია ახალებს პოლიტიკური ხელისუფლებისთვის ბრძოლაში. მაგრამ, ასევე ცხადია, რომ არიან გავლენიანი ძალები, რომლებიც მზად არიან, გამოიყენონ ნებისმიერი ბზარი რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობებში თავისი ინტერესების სასარგებლოდ. და ეს ძალები არა მხოლოდ თბილისში იმყოფებიან.

Московский комсомолец

# პიროვნული კულტის მოწმობა

**აპრილში სამხრეთ ოსეთში იწყება ახალი ნიმუშის პასპორტების გაცემა. ეს მოვლენა ემთხვევა წინასაარჩევნო კამპანიის არაოფიციალურ სტარტს – მიმდინარე წლის ნოემბერში გაიმართება პრეზიდენტის არჩევნები და, ოპოზიციის აზრით, პასპორტიზაცია აქ ხდება არასასურველი კანდიდატების ჩამოშორების მიზნით კამპანიაში მონაწილეობისგან. ამ მიზნით, როგორც მეთვალყურეები ვარაუდობენ, სამხრეთი ოსეთის ხელისუფლება რეგისტრაციაზე უარს ეუბნება ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს.**

სამხრეთი ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ახალი ბიომეტრიული პასპორტები მზადდება იმისთვის, რომ რესპუბლიკის მოქალაქეებს შეეძლოთ დაუბრკოლებლად ისარგებლონ ამ პასპორტებით რუსეთის ტერიტორიაზე, რომელმაც აღიარა ეს რესპუბლიკა. თუმცა, ამჟამინდელი სამხრეთოსეთური პასპორტებითაც შეიძლება დაუბრკოლებლივ გადალახო სახელმწიფო საზღვარი საზღვრისპირა პუნქტ ზარამაგში, მაგრამ ეს იწვევდა უარყოფით გამოხმაურებას რუსეთის სამართალდაცვის სრუქტურების მხრიდან – ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათში დაცვის არასაკმარისი ხარისხიაო.

პასპორტიზაცია უნდა დაწყებულიყო ჯერ კიდევ თებერვალში და დამთავრებულიყო აგვისტოსთვის, მაგრამ პასპორტების გაცემა დღემდე არ ხდება. გასულ კვირას სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ორგანიზაციულ-საკონტროლო სამმართველოს ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმირ უშაკოვმა განაცხადა, რომ ცხინვალში დღემდე არ შემოუტანიათ სპეციალური მოწყობილობა, რაც აუცილებელია ბიომეტრიული პასპორტების გაფორმებისთვის. და იგი დაჰპირდა, რომ პასპორტების გაცემა დაიწყება აპრილში. პასპორტიზაცია გახდა სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტის ამასწინანდელი შეხვედრის თემა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელთან ვალერი ვალიევთან. ამ შეხვედრაზე ითქვა, რომ ახალ პასპორტებს პირველ რიგში მიიღებენ სტუდენტები და აბიტურიენტები, რომლებიც მიემგზავრებიან რუსეთში.

ოპოზიცია, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ სამხრეთ ოსეთის მორიგი პასპორტიზაციის მთავარი მიზეზი (უპასუხისმგებლოდ სამხრეთი ოსეთის პასპორტები გაიცემოდა ადგილობრივ რეგისტრაციაზე 2006 წლამდე) არის მცდელობა, არ დაუშვან არჩევნებში ედუარდ კოკოითის ოპონენტები.

არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, სამხრეთი ოსეთის ხელისუფლებამ წამოიწყო რთული თამაში არა მხოლოდ პასპორტიზაციის, არამედ პარტიების რეგისტრაციის გარშემოც. მარტის დასაწყისში გაჩაღდა სკანდალი სოციალურ-დემოკრატიულ პარტიასთან დაკავშირებით. იგი დარეგისტრირებული იყო შარშან ნოემბერში. მიმდინარე წლის თებერვალში სამხრეთი ოსეთის იუსტიციის სამინისტრომ მიმართა რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს შუამდგომლობით პარტიის დახურვის შესახებ. სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის თამაზ დოგუზოვის სიტყვებით, პარტიაში აღმოჩნდა გაცილებით ნაკლები წევრი, ვიდრე ეს დეკლარირებული იყო – კანონის თანახმად, პარტიის რეგისტრაციისთვის აუცილებელია მასში სულ ცოტა 300 კაცის ყოფნა. იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელმა მიუთითა 70 მოქალაქის რაღაც განცხადებაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გამოსვლის შესახებ – მისი სიტყვებით, თავდაპირველად გაცხადებული იყო პარტიაში 350 წევრის შესახებ. მაგრამ მას შემდეგ პარტია 70 კაცმა დატოვა და ხელისუფლებამ გადაწყვიტა რეგისტრაციის უკან გაწვევა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა ამ დროს დაბეჯითებით მოითხოვდა თავისი ვერსიის სიზუსტის დადასტურებას: არც ერთი განცხადება პარტიიდან გამოსვლის შესახებ სინამდვილეში არ ყოფილა, ხელისუფლებამ მოიგონა ეს, როგორც საბაბი, რათა დახუროს პარტია, რომელსაც შეუძლია მოახდინოს მთელი საპროტესტო ელექტორატის აკუმულირება. მიმდინარე წლის 4 მარტს სამხრეთი ოსეთის უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება პარტიის ლიკვიდაციის თაობაზე, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა დიმიტრი ტასოევმა განაცხადა, რომ გაასაჩივრებს ამ გადაწყვეტილებას რუსეთის სასამართლოებში, ვინაიდან „სამხრეთ ოსეთში ცხოვრობენ რუსეთის მოქალაქეები“.



კიდევ ორმა პარტიამ, რომლებიც ითვლებიან ოპოზიციურად და შეიტანეს დოკუმენტები რეგისტრაციისთვის, დღემდე არ მიუღია ოფიციალური პასუხი ხელისუფლებისგან, თუმცა ამ პროცედურებისთვის გათვალისწინებული ვადები, რაც აღნიშნულია კანონში „პოლიტიკური პარტიების შესახებ“, – უკვე გავიდა. პარტია „ირონის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ჩრდილოეთი ოსეთის სამართალდამცველმა ბესარიონ ასეევმა ჩვენს გაზეთთან საუბარში აღნიშნა, რომ დოკუმენტები სარეგისტრაციოდ შეტანილ იქნა 24 თებერვალს – კანონის თანახმად იუსტიციის სამინისტრო ვალდებული იყო, პასუხი მოეცა ერთი თვის ვადაში. „28 მარტს მე მივედი იუსტიციის სამინისტროში, მაგრამ მითხრეს, რომ ჩვენი საკითხი ჯერ კიდევ არ განხილულა, – ამბობს ბატონი ასეევი. – ჩემს შეკითხვაზე, თუ როდის იქნება იგი განხილული და რატომ ირღვევა კანონმდებლობა, პასუხი არ მიმიღია. სამაგიეროდ მინისტრი აღშფოთდა იმით, რომ მე საერთოდ შევედი სამინისტროში“. სამართალდამცველის აზრით, ხელისუფლებას „არ სურს რეგისტრაციაში გაატაროს მის მიერ გაუკონტროლებელი პარტიები, ვინაიდან ეშინიათ სიურპრიზისა არჩევნებზე“. იგივე სიტუაციაა პარტია „სამართლიანობასთან“ დაკავშირებით – ოფიციალური პასუხი იუსტიციის სამინისტროდან პარტიის ლიდერებს ჯერჯერობით არ მიუღიათ.

აღსანიშნავია, რომ „სამართლიანობამაც“, და „ირონმაც“ გასულ წლის ბოლოს უკვე მიიღეს უარი რეგისტრაციაზე იმასთან დაკავშირებით, რომ პარტიების წევრებს არ ჰქონდა სამხრეთი ოსეთის მოქალაქეობა. „უარის შემდეგ ჩვენ პარტიიდან გამოვიყვანეთ ის ხალხი, ვისაც არ ჰქონდა სამხრეთი ოსეთის მოქალაქეობა, და კვლავ შევიტანეთ დოკუმენტები რეგისტრაციისთვის, – ამბობს ბატონი ასეევი, რომელსაც რუსეთის მოქალაქეობის გარდა აქვს სამხრეთი ოსეთის მოქალაქეობაც. – და ახლა კანონის თანახმად, ჩვენ ვერ უნდა შეგვედავონ. მაგრამ ისინი მაინც მონახავენ საბაბს უარისთვის“.

სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ოპოზიციური პარტიების მცდელობას „თავგის ცელქობას“ უწოდებენ და ამ დროს მიუთითებენ, რომ ამგვარი მოქმედების უკან დგანან „გავლენიანი ადამიანები მოსკოვში“. ვარაუდობენ, რომ დაინტერესებული პირები არიან მოსკოველი მეწარმე ალბერტ ჯუსოევი, აგრეთვე ცნობილი სპორტსმენი, თავისუფალ ჭიდაობაში ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი ჯამბულათ თედეევი (მიაჩნიათ, რომ მან და მისმა ძმამ იბრაგიმმა, რომელიც 2006 წელს მოკლეს, მოიყვანეს თავის დროზე ხელისუფლების სათავეში ედუარდ კოკოითიძ. ეს ხალხი მიაჩნიათ ყველაზე მეტად სავარაუდო პრეზიდენტობის კანდიდატად, თუმცა ისინი თავად ღიად თავიანთი საპრეზიდენტო ამბიციების შესახებ ჯერჯერობით არ აცხადებენ. ადგილობრივი ჩინოვნიკების აზრით, რესპუბლიკაში პოლიტიკური ცხოვრების აქტივიზაცია დაკავშირებულია სწორედ ამ მძიმეწონოსნებთან – ცხადია, ხელისუფლება არ გამორიცხავს, რომ მიუხედავად ყოფნის ათწლიანი ცენზისა, რომელიც უკრძალავს ბატონებს ჯუსოევსა და თედეევს ბალოტირებას, მათ შეუძლიათ მონახონ საშუალება – გავლენა მოახდინონ რესპუბლიკაში წინასაარჩევნო სიტუაციაზე. მათ შორის პოლიტიკური პარტიებითაც.

„პოლიტიკური კრიზისი სამხრეთ ოსეთში დაკავშირებულია არა იმასთან, რომ ვიღაცა გარედან ცდილობს განმუხტოს იქ სიტუაცია, – თავის მხრივ, მიაჩნია ჩრდილოეთი ოსეთის ფონდის „სამოქალაქო ინიციატივის“ ხელმძღვანელს ოლეგ თეზიევს. – არამედ იმასთან, რომ ომიდან ორნახევარი წლის შემდეგ სამხრეთი ოსეთის საზოგადოებამ მიიღო სრული დესტრუქტივი: ისწავლეს ქურდობა, დაივიწყეს მუშაობა, ვერ ისწავლეს ღირსეულად ცხოვრება, არ არის არც მშვიდობა, არც ომი, ყველა ერთმანეთს ებრძვის ფულისთვის. დიახ, სამხრეთმა ოსეთმა მიიღო უფლება ცხოვრებისთვის, მაგრამ გავა კიდევ ორი ასეთივე წელიწადი და ცოტას თუ ემახსოვრება ეს. მახლობლად კი, საზღვრის იქით, არ არის კორუფცია, და ლტოლვილებს დიდი ხანია აუშენეს სახლები. ეს ხდება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც კორუფციის სამშობლოდ ითვლებოდა. და ხალხს ესმის – მაშასადამე, შეიძლება ამის მიღწევა, უბრალოდ, ამისთვის არ არსებობს პოლიტიკური ნება“.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**იაპონიამ წააგო „ბრძოლა“ „ფუკუსიმაში“ ატომური ელექტროსადგურის რეაქტორის გადარჩენისთვის, შესაძლებელია რადიაციის დიდი გამოფრქვევა**

როგორც ამერიკელმა სპეციალისტმა განაცხადა, ერთ-ერთი რეაქტორის ბირთვი გადნა და დაიღვარა ბეტონის იატაკზე. რადიოაქტიურ მასალათა ნაწილი შეიძლება შევიდეს ქიმიურ რეაქციაში და გამოიწვიოს სახიფათო გამონაბოლქვები.

* * *

**გამოქვეყნდა მერკურის ისტორიაში პირველი ფოტო ორბიტიდან**



ფოტოები გადმოსცა „ნასას“ მიერ გაგზავნილმა ზონდმა. ის იქცა პირველ ხელოვნურ თანამგზავრად ამ პლანეტისა. ფოტოგრაფიებმა აღბეჭდეს რაიონი სამხრეთ პოლუსის მახლობლად – როგორც ცნობილია, ეს მზესთან ყველაზე ახლო პლანეტაა, რომელსაც ადრე ვერც ერთი კოსმოსური აპარატი ვერ ადევნებდა თვალყურს.

* * *

**ლიბიელი მეამბოხეები პანიკით გარბიან კადაფის ძალების ცეცხლისგან. კოალიციაში ახალი განხეთქილებაა**



ჯერ კიდევ ორი დღის წინათ მეამბოხეები საუბრობდნენ კადაფის მშობლიური ქალაქის სირტის მალე აღებისა და დედაქალაქ ტრიპოლისკენ სწრაფი წინსვლის შესახებ. მაგრამ, ცხადია, რომ დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე ჰაერიდან მათ არა მხოლოდ შეუძლიათ განავითარონ შეტევა, არამედ აღებული ქალაქების შენარჩუნებაც კი. შესაძლო ჩიხის გამო კოალიცია ცდილობს გამოსავლის მონახვას, მაგრამ მხოლოდ დავას ახერხებს.

* * *

**კუჩმა და მისი ყოფილი მცველი მელნიჩენკო ერთმანეთს შეხვდებიან უკრაინის გენერალურ პროკურატურაში პირისპირ**

ადრე კუჩმა კატეგორიულად ამბობდა უარს პირისპირ შეხვედრაზე მელნიჩენკოსთან, აცხადებდა, რომ არ სურს შეხვდეს სამშობლოს გამყიდველს. გასულ ორშაბათს კუჩმამ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ „მისი პოზიცია არ შეცვლილა“, მზად არის პირისპირ შეხვედრისთვის.



◎ სერიიდან: „კაფე“ „ჩირაღდნის ჩანაწერები“

# როცა მსახიობის მიერ განსახიერებულ უარყოფით გმირს აგინებენ...

სიჭაბუკიდან ვიცნობთ ერთმანეთს. როგორც ყველა გურული, ენამოსწრებულია, მაგრამ ყველა გურულისგან განსხვავებით გადამეტებულად დინჯი. სასმელში თუ გაგვეხსნება, რანაირი ახლობელიც არ უნდა იყო, მაშინაც კი. „სამშობლოს“ წინ შევხვდით ერთმანეთს. უფრო სწორად, იგი იდგა და გაპარტახებულ შენობას აჰყურებდა, მე კი ქუჩას მივუყვებოდი. სწორედ ამ შენობაში გავიცანით ოციოდე წლის წინათ მე და კახა ვასაძემ ერთმანეთი.

— ხედავ? — თვალი არ მოუცილებია შენობისთვის ისე მკითხა.

— ვხედავ, და ყოველდღე, თითქმის.

ხელკავი გამომდო, ფილარმონიისკენ გავუყევით.

კაფე „ჩირაღდანი“.

ქესეტად ვარ, როგორც ყოველთვის, აქ კი როგორც თევზი წყალში ისე ვგრძნობ თავს ძველ ნაცნობებსა და აქაურობას შეჩვეული ხალხის მფარველ მომსახურე პერსონალთან, როგორც, ამ ბოლო დროს იციან „პოსლეს“ იმედშერჩენილებს. გვერდით მაგიდას კარგა გვარიანად „შეხურებული“ რამდენიმე კაცი მისხდომია, კილოზე ეტყობათ, კახელები უნდა იყვნენ.

ძველი მეგობრები ბევრზე არ ვიქაჩებით — გრაფინი ღვინო, პატარა მისაყოლებელი, სევდიანი საუბარი, მხიარული მოგონებები და...

**„როგორც ჩემი შვილი იტანჯება, ისე უნდა დავიტანჯო“** — ხუმრობს შეზარხოშებული კახელი და თანამეინახეებს შვილების სადღეგრძელოს სთავაზობს. ყველა იცინის. კახას გავხედე. მარტო მე დავინახე მის თვალებში ჩამდგარი სევდა, სიხარული, სიამაყე და...

გიორგი შენგელაიას მიუზიკლი „სიყვარული ყველას უნდა“, ვის არა აქვს საქართველოში ნანახი. ეს ფრთიანი ფრაზაც ყველას პირზე ეკერა, სიყვარულით თავგზააბნეული ბურნუთას მამის, დათიკოს სიმწრით ნათქვამი, სახლის ბოძს რომ თავს უბრახუნებს, მაშინ.

იური ვასაძე — საქართველოს სახალხო არტისტი, კინოსა და თეატრის („მუსკომედიის“ და კინომსახიობთა თეატრებშიც მსახიობი, ფილმში ბურნუთას მამა და ცხოვრებაში ჩემი ძმაკაცის, კახა ვასაძის მამა.





სევდა ადრე წასული მამის გახსენებისა, სიხარული ნაცნობი ფრაზის მოსმენისა და სიამაყე — ყველას, რომ დაამახსოვრა თავისი თავი.

არადა, ახალგაზრდა თაობას არ ახსოვს ბატონი იურის მიერ შესრულებული როლები მუსიკალური კომედიის სცენაზე — „ბაბაჯანას ქოშები“, „შვეიკი“, „მევიოლინე სახურავზე“, „საჭიროა მატყუარა“, „ბოშათა ბარონი“ და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი. შემდეგ კინომსახიობთა თეატრი იყო.

გურიის ულამაზეს სოფელ ასკანაში დაბადებულმა და გაზრდილმა ბიჭმა თბილისში თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა მუსიკალური კომედიის განხრით. თეატრალური დებიუტი მიხეილ თუმანიშვილის ხელში, სპექტაკლი „ჯაზომანიაში“ შედგა.

— მამა იხსენებდა, რომ სწორედ მიხეილ თუმანიშვილმა აღმომაჩინა, ალბათ ისიც კანონზომიერი იყო, რომ შემდეგ კინომსახიობთა თეატრშიც თამაშობდა. — იხსენებს კახა. ჩემთვის კი ბიძია იური იყო.

თავისი უბადლო იუმორით, განსხვავებული ხმით, უშუალობით, ერთადერთი ვაჟის მეგობრების გათამამებამოფერებითა და თავის კოლეგებთან ყოველთვის კურიოზული სიტუაციების შექმნის დიდოსტატად ცნობილი.

იური ვასაძეს ორმოცამდე კინოროლი აქვს განსახიერებული, ყველა სახასიათო (როგორც კინომცოდნენი იტყვიანძ უბრალო მაყურებლის თქმით კი — დასამახსოვრებელი. პირველი ფილმი რეზო ესაძის „წკიპურტები“ იყო, სამნოველიანი მოკლემეტრაჟიანი ფილმი. პოპულარობა კი „სიყვარული ყველას უნდა“, ამ ფილმმა მოუტანა.

**ჩართვა მოგონებებში.**

**კახა მოქეიფე კახელებს ერთ დოქ ღვინოს უგზავნის, წასული მშობლების შესანდობარს სვამს და უკან ბრუნდება.**

— გახსოვს, „დათა თუთაშხიაში“ ყანდორს რომ თამაშობდა? — თავისთვის ამბობს კახა.

— როგორ არ მახსოვს, ბერიკაშვილთან ერთად ჭაში ბურღულს რომ აყრიან...

— კინაღამ დაიხრჩო მაშინ, სპეციალურად ჭაში ჩაფენილ ბალიშებს აცდნენ და ზემოდან დაყრილ ბურღულში კინაღამ გაიგუდნენ. ბოლოს ბატონი გიგა ლორთქიფანიძე მიმხვდარა, არანორმალურად რომ ყვიროდნენ და ძლივს გადაურჩენიათ. — ეღიმება კახას, — ხელოვნება, ძმაო, მსხვერპლს მოითხოვსო, სულ იგონებდა.

**ჩართვა მოგონებებში.**

**„ხარება და გოგიას“ ნახვის შემდეგ ხალხი ჩემს გმირს აგინებდაო. მსიამოვნებდა, ჩემო მამუკა, რახან გმირს აგინებენ და არა მსახიობს, ესე იგი კარგად ითამაშე. ბედნიერი ვიყავი — მითხრა ერთხელ იური ბიძიამ, როდესაც ინსულტის შემდეგ სახლიდან არ გამოდიოდა, ავადმყოფობდა და მოსანახულებლად მივედი.**

— ერთი სურვილი ჰქონდა, ოჯახში ვინმეს გაეგრძელებინა მისი საქმე, ისე იყო თეატრსა და კინოზე შეყვარებული, გაუმართლა ჩემმა იურიმ, ჩემს იურის.

გაამართლა იური ვასაძე-უმცროსმა. ესეც ბედის ირონიაა — ჩააბარა თუ არა შვილიშვილმა თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე, ბატონი იური სწორედ მაშინ „მიეჯაჭვა სახლს“ ავადმყოფობის გამო. იური-უმცროსი ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრის მსახიობია. ნიჭიერი და წარმატებული — ხელმოცარული არ ეთქმის.

— კაკო ხიდაშელთან, რომ ითამაშებს ვინ უნდა იყოს, — სახე უბრწყინდება კახას, შემდეგ ისევ სევდა უდგება თვალში, — ნეტავ მამა მოსწრებოდა.

აიშალნენ კახელები. კოცნით დაგვემშვიდობნენ, ხუთიოდე წუთი შეჩერდნენ ჩვენს მაგიდასთან, დაგვლოცეს და... დაგვტოვეს ჩვენს საფიქრალთან.

— იცი, რა თქვა მამამ სიკვდილის წინ? ბედნიერია მსახიობი, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ ასრულებს როლებს და არა იმიტომ, რომ რეჟისორები არ იწვევენო. ავადმყოფობას და „უსცენობას“ ამ იმედით სძლევდა, მაგრამ...

ჩემი უსაყვარლესი ადამიანი, მეგობრებისთვის უერთგულესი და ენამახვილობით განთქმული, მაყურებლისთვის საყვარელი, ხელოვნებაში საქართველოს სახალხო არტისტი, მართლაც ღირსების ორდენოსანი იური ბიძია, იური ვასაძე უკვე ოთხმოც წელს გადასცილდა, არადა სულ სამოცდათექვსმეტი წლისა იყო, ღიმილიანი სახით რომ მიეახლა უფალს.

რა თქმა უნდა, „პოსლეთი“ ვცილდებით „ჩირაღდანს“. ყურში კი კვლავ იმ შექეიფიანებული კახელების სიყვარულით წამოსროლილი — უკვე გაფრთიანებული ფრაზა მესმის „როგორც ჩემი შვილი იტანჯება, ისე უნდა დავიტანჯოო“.

მივუყვები და ჩემთვის ვფიქრობ ბიძია იურის სიბრძნეზე — „ან მსახიობს უნდა აგინონ, ან მის მიერ განსახიერებულ უარყოფით გმირსო“.

**მამუკა ვაშაკიძე**






◎ ისტორიის გაყალბება

# მთავარმართებლის მონდომების მიუხედავად, რუსმა მოხელეებმაც კი მხარი ქართველებს დაუჭირეს

ახლახან გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ ცნობილ არმენოლოგთან, პროფესორ ბონდო არველაძესთან. იგი წერს, რომ სომხებმა ჯავახეთისთვის კონსტიტუცია დაწერეს. აღმაშფოთებელი ფაქტია, მაგრამ სიმართლეს თუ ვიტყვით, ასეთი გამოხდომა არახალია, ბევრჯერ ყოფილა. ფაქტიურად ჯავახეთელი სომხები თავს აბორიგენებად მიიჩნევენ და ის ავიწყდებათ, რომ ისინი თურქეთიდან 1829 წელს ამ ძირძველ ისტორიულ ქართულ მიწაზე რუსეთმა ჩამოასახლა. ეს ხომ უტყუარი ისტორიული ფაქტია. მე, რა თქმა უნდა, ვიზიარებ პროფესორ ბონდო არველაძის შეშფოთებას, ოღონდ მკითხველის ყურადღებას მივიქცევ ჯავახეთის სომხურ გუმბრთან (ალექსანდროპოლთანძ მიერთებასთან დაკავშირებით. ეს ამბავი 1913 წელს მოხდა და სომხებს ზურგს უმაგრებდა რუსეთის ხელისუფლების ყველაზე დიდი თანამდებობის პირი კავკასიაში ვორონცოვ-დაშკოვი.

ახლა ძალიან მოკლედ წარსულს გადავხედოთ. სამცხე-ჯავახეთის დაბრუნებასთან დაკავშირებით რუსი ისტორიკოსი ივანენკო წერს: „მთელ ამ კუთხეში განსაკუთრებით ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. რუსეთის აქ შესვლას 1828 წელს მათი აყრა მოყვა. რუსეთის ჯარმა ახალციხე რომ აიღო, მთავარმართებელ პასკევიჩს ქართველი დიდგვაროვნები წარუდგნენ და ქართველ მეფეთა წყალობით წიგნი მიუტანეს. ამ საბუთებით სამცხე-ჯავახეთში მათი მფლობელობითი უფლება მტკიცდებოდა. ფაქტობრივად ისინი ამ საბუთების საშუალებით თავიანთი უფლების აღდგენას ითხოვდნენ. მაგრამ მთავარმართებელმა პასკევიჩმა ამაზე არავითარი რეაგირება არ მოახდინა. შემდეგ ივანენკო წერს: ამავე დროს, ოსმალეთიდგან, ყარსისა და არზრუმის საფაშოებიდგან იქაური სომხობა გამორბოდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა. რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია: თითოეულს 25 რუბლი დახმარება აღმოუჩინა და 6 წლის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადებისგან გაათავისუფლა. ამის წყალობით 30000 სომეხი დასახლდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს 1828 წელს ორივე მაზრაში სულ 50.000 სული ცხოვრობდა, მაშინ, როდესაც ამ რაოდენობის ხალხი, ადრე მარტო ქალაქ ახალციხეში ცხოვრობდაო. როგორც რუსი ისტორიკოსი წერს, ამ მხარეში ეროვნული შემადგენლობაც ძირფესვიანად შეიცვალა, 1832 წელს სომხობამ უკვე ქართველ მაჰმადიანებს გადააჭარბა. ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს „სომხებმა დაივიწყეს, რომ ისინი ჯავახეთში ოსმალეთიდგან მოვიდნენ მხოლოდ ვითარცა ლტოლვილნი, რომ სრულებით შემთხვევით იმ უძველესი დროითგან საქართველოს უცილობელს კუთხეში ისინი უმრავლესობად იქცნენ და ამ გარემოებისდა მიუხედავად, მაინც ახალქალაქის მაზრაც სომხეთის მიწა-წყლად გამოაცხადეს (დიდ მეცნიერს აქ მხედველობაში აქვს ა. შახატუნიანის რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „Административный передел Закавказского края“.

იმისთვის, რომ ახალქალაქის მაზრა სომხებს როგორმე თბილისის გუბერნიისაგან გამოეყოთ და სომხური ადმინისტრაციული ერთეულისთვის შეერთებინათ, ისინი დაუკავშირდნენ პროსომხური ორიენტაციის რუს დიდმოხელეს მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს. 1913 წელს მისი სურვილისდა თანახმად, შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა განეხილა ახალქალაქის მაზრის თბილისის გუბერნიისაგან ჩამოცილება და მისი სომხურ გუმბრთან (ალექსანდროპოლთანძ მიერთების საკითხი. საქმის მოსაგვარებლად ჩამოყალიბდა კომისია 14 წევრის შემადგენლობით. აქედან 8 რუსი იყო, 4 ქართველი და 2 სომეხი. სერიოზული სჯა-ბაასის შემდეგ კომისიამ ერთხმად უარყო ჯავახეთის, იგივე ახალქალაქის მაზრის თბილისის გუბერნიისგან ჩამოშორება და სომხურ ადმინისტრაციულ ერთეულთან გუმბრთან მიერთება. როგორც ჩანს ამ საჭოჭმანო საკითხის სომეხთა სასარგებლოდ გადაწყვეტა იმდენად არაობიექტური და არაკანონიერი იქნებოდა, რუსმა მოხელეებმაც კი მხარი ქართველებს დაუჭირეს. ასე ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში მაშინ სომხებს და მათ ქომაგ ვორონცოვ-დაშკოვს. ფაქტობრივად სამართლმა პური ჭამა. როგორც პროფესორ ბონდო არველაძის ინტერვიუდან ჩანს, ისტორიის გამყალბებლები მაინც არ ისვენებენ.

**დურმიშხან ცინცაძე.**

**ფეხბურთი**

# სათქმელი კიდევ ბევრია...

**მართალია, ხორვატეთთან უმნიშვნელოვანეს შესარჩევ მატჩში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს დითირამბები არ მოჰკლებია, მაგრამ როგორც ისრა-**



**ელში წაგებულმა შეხვედრამ და დაუმარცხებელ პაექრობათა შეწყვეტილმა სერიამ დაადასტურა, საფიქრალიც არანაკლები გვქონია.**

**ისრაელი – საქართველო 1:0 (0:0)**

**გოლი:** ბენ ჰაიმი (59-ე წთ).

**მსაჯი:** ფრედი ფორტელი (საფრანგეთი).

როცა უარყოფით შტრიხებზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თავდამსხმელთა უნიათო თამაში, თუმცა სიტყვა „თავდამსხმელი“ ამ შემთხვევაში პირობითად შეგვიძლია ვიხმაროთ, რადგან როგორც ბალკანელებთან, ისე ებრაელებთან თითო-თითო(! ზუსტი დარტყმა მეტოქეთა კარისკენ ნახევარმცველებმა შეასრულეს (თბილისში კობიაშვილმა გოლის გატანისას და თელ-ავივში კვირკველიამ). ვიმეორებთ, რომ აქ იმ ეპიზოდებს ვგულისხმობთ, როცა ბურთი კარის ჩარჩოში წავიდა. დაგვეთანხმებით, საგანგაშო ფაქტია.

აღთქმულ მიწაზე გამართულმა ბრძოლამ დაცვის ფლანგებზე გამეფებული ქაოსიც გამოამზეურა, აღარაფერს ვამბობთ, ისეთი შუახაზელის დეფიციტზე, მინდვრის ცენტრში ბურთის დაჭერა და პარტნიორთა ტემპის რეგულირება რომ შეეძლება.

სათქმელი, იცოცხლეთ, კიდევ ბევრია, მაგრამ არ გვინდა, ვინმემ იფიქროს, ჩასაფრებული იყო და თემურ ქეცბაიას ფეხის დაცდენას უცდიდაო, ამიტომ ამჯერად მოდით, აქ დავსვათ წერტილი.

**გაუწყებთ „ევრო-2012“-ის მორიგი შესარჩევი რაუნდის სრულ შედეგებს:**

**„ა“ ჯგუფი.** თურქეთი – ავსტრია 2:0, ბელგია – აზერბაიჯანი 4:1.

გერმანია – 15, ბელგია – 10, თურქეთი – 9, ავსტრია – 7, აზერბაიჯანი – 3, ყაზახეთი – 0 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** ესტონეთი – სერბეთი 1:1, ჩრდილოეთ ირლანდია – სლოვენია 0:0.

იტალია – 13, სლოვენია, სერბეთი – 8-8, ესტონეთი – 7, ჩრდილოეთ ირლანდია – 6, ფარერები – 1 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** რუმინეთი – ლუქსემბურგი 3:1.

საფრანგეთი – 12, ბელარუსი, ალბანეთი – 8-8, ბოსნია – 7, რუმინეთი – 5, ლუქსემბურგი – 1 ქულა.

**„ე“ ჯგუფი.** ჰოლანდია – უნგრეთი 5:3, შვედეთი – მოლდოვა 2:1.

ჰოლანდია – 18, შვედეთი, უნგრეთი – 9-9, მოლდოვა – 6, ფინეთი – 3, სან-მარინო – 0 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** ისრაელი – საქართველო 1:0.

საბერძნეთი – 11, ხორვატეთი, ისრაელი – 10-10, საქართველო – 9, ლატვია – 4, მალტა – 0 ქულა.

**„ი“ ჯგუფი.** ლიტვა – ესპანეთი 1:3, ჩეხეთი – ლიხტენშტეინი 2:0.

ესპანეთი – 15, ჩეხეთი – 9, შოტლანდია, ლიტვა – 4-4, ლიხტენშტეინი – 0 ქულა.

**ამხანაგური შეხვედრები:** გერმანია – ავსტრალია 1:2, ინგლისი – განა 1:1, უკრაინა – იტალია 0:2, საფრანგეთი – ხორვატეთი 0:0.

**გიორგი შოთაძე**

**ჭადრაკი**

## მსოფლიო ჩემპიონი ბავშვებთან დამარცხდა

**ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ჭადრაკში ამჟამინდელი მსოფლიო ჩემპიონი, ინდოელი დიდოსტატი ვიშვანათან ანანდი ტაშკენტში ერთდროული თამაშის სეანსის დროს დამარცხდა ორ უზბეკ მოზარდთან.**



სეანსი 20 დაფაზე მიმდინარეობდა და დამთავრდა 15:5 ანანდის სასარგებლოდ. ექვსმა იუნიორმა ინდოელ დიდოსტატთან ყაიმს მიაღწია.

ორმა მოზარდმა – უზბეკეთის ქალთა ნაკრების წევრმა ხულკარ ტიხირჟანოვამ და 8 წლამდე ბიჭებს შორის აზიის ჩემპიონატის პრიზიორმა, აგრეთვე 10-დან 12 წლამდე უზბეკეთის ჩემპიონატის პრიზიორმა თემურ ოგონგიიმ გაიმარჯვეს მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთან.

ანანდი ტაშკენტში ჩავიდა ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ექსჩემპიონთან, უზბეკ დიდოსტატთან რუსტამ კასიმჯანოვთან ამხანაგური მატჩის გასამართავად.

შეხვედრებს თვალს ადევნებდა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი.

**კალათბურთი**

# ასეც ხდება

**როგორც იცით, ევროლიგის ოთხთა ფინალს მაისის დასაწყისში ბარსელონა უმასპინძლებს.**

ადვილი შესაძლებელია, მომავალმა ბატალიებმა კატალონიური გრანდის გარეშე ჩაიაროს და პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი კონტინენტის მოქმედი საკლუბო ჩემპიონის ყველაზე პრინციპული მეტოქე მადრიდის „რეალი“ გახდეს. თუ როგორი ვარიანტი არსებობს საამისოდ, ახლავე მოგახსენებთ.




**„პანათინაიკოსი“ – „ბარსელონა“ 76:74**

**(სერიის ანგარიში – 2:1)**

სტუმრები თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ, რადგან პირწმინდად წააგეს ფარქვეშ ბრძოლა ბატისტისა და მის პარტნიორთა წინააღმდეგ. ხავიერ პასკუალის შეგირდებმა მდგომარეობა მას შემდეგ გამოასწორეს, რაც ნავაროს, ლაკოვიჩს, რუბიოს და მორისს შორეული ტყორცნები წაუვიდათ. მათ სამქულიანებით დასეტყვეს ელადელთა კალათი და „ბროწეულისფერები“ დააწინაურეს კიდეც.

სწორედ ამ დროს გამოცოცხლდა „პაოს“ ლიდერი დიამანტიდისი – 18 ქულა, რომლის შემჩერებელიც არავინ აღმოჩნდა. ასე რომ, ჟელკო ობრადოვიჩის გუნდი სერიაში წინ გავიდა – 2:1 და თუ დღეს მესამე ჩხვლეტასაც მიაყენებს მოწინააღმდეგეს, მას საკუთარი დარბაზის მიღმა დატოვებს.

**„ვალენსია“ – „რეალი“ 66:75**

**(სერიის ანგარიში – 1:2)**

სავანოვიჩის ძალისხმევით „ვალენსიამ“ ცამეტქულიანი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ შესვენების შემდეგ იმდენი მოახერხა, რომ ნახევარფინალში მოხვედრა საოცნებო გაუხდა. თუ „სამეფო კლუბი“ დღესაც იმძლავრებს, ბრძოლა შეწყდება, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში დამატებითი დუელი ესპანეთის დედაქალაქში მოეწყობა, რაც ეტორე მესინას კრებულის საერთო წარმატების შანსებს საგრძნობლად ზრდის. დაგვეთანხმებით, იმ სცენარის ალბათობა, წერილის დასაწყისში რომ გაგაცანით, არცთუ უსაფუძვლო ყოფილა.

**„მონტეპასკი“ – „ოლიმპიაკოსი“ 81:72**

**(სერიის ანგარიში – 2:1)**

მას შემდეგ, რაც პირეოსელებმა პირველი მატჩი ასტრონომიული ანგარიშით მოიგეს, ძნელი სავარაუდო იყო, რომ იტალიელები მდგომარეობას გამოასწორებდნენ, მაგრამ მოვლენები სწორედ ასე ვითარდება.

მესამე დუელის გმირი აპენინელთა ცხვირგატეხილი სერბი გამთამაშებელი არიჩი გახდა, რომელმაც ლავრინოვიჩთან და კაუკენასთან ერთად წირვა გამოუყვანა პაპალუკასს, სპანულისს, თეოდოსიჩსა და კომპანიას.

**„მაკაბი“ – „ტაუგრესი“ 81:60**

**(სერიის ანგარიში – 2:1)**

ის უფრო გასაოცარი იყო, რომ ბასკებმა სერიაში ანგარიშის გახსნა მოახერხეს, თორემ ამ წყვილის ფავორიტი რომ რეგულარული სეზონის გამარჯვებული ებრაული კლუბია, მომდევნო შეხვედრები მოწმობს.

ალბათ, არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს იმ პროგნოზის გამოთქმა, რომ „მაკაბი“ დღეს ოფიციალურად გაიფორმებს ოთხთა ფინალში მონაწილეობის უფლებას.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ინტერნეტიდან**

## „ხალიფას ბურჯის“ მწვერვალზე

**„ადამიანმა-ობობამ“, ასეთი სახელით კი ცნობილია სახელგანთქმული ფრანგი მეკლდეური ალენ რობერი, დაიპყრო დედამიწის ყველაზე მაღალი ცათამბჯენი „ხალიფას ბურჯი“. 828-მეტრიანი სიმაღლის დასაძლევად თითქმის 30-წლიანი სტაჟის მქონე ექსტრემალს თითქმის 6 საათი დასჭირდა.** ასე დაპყრობილი „მწვერვალი“ „ობობას“ ანგარიშზე 70-ზე მეტია. ფრანგს ადრე ამის გამო უთანხმოება მოსდიოდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. თუმცა ახლა მის გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდნენ.



ღონისძიების ორგანიზატორებმა მეკლდეურს მხოლოდ უსაფრთხოებისა და ტექნიკის ალჭურვილობის გამოყენება სთხოვეს, რაზეც რობერი ადრე ჩვეულებისამებრ უარს ამბობდა.

## ყველაზე საძულველი

**დიდ ბრიტანეთში, როგორც The Daily Mail წერს, ყველაზე საძულველ კომპანიად მიიჩნიეს ფეხბურთის კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“. Online Opinions-ის მიერ მოწყობილი გამოკითხვით, ის არ უყვარს ბრიტანელთა 26 პროცენტს.** როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ გახდა თავისი წარმატებების მსხვერპლი. მის წინააღმდეგ ძირითადად ხმა მისცეს სხვა საფეხბურთო კლუბების ფანატებმა (მხოლოდ ინგლისში 21 სხვადასხვა დონის საფეხბურთო ლიგაა, კლუბები კი ათასობითაა).




საძულველ კომპანიათა რეიტინგში ეს კლუბი უსწრებს ავიაგადამზიდ კომპანიას Ryanair და ქვეყანაში უდიდეს ენერგეტიკულ კომპანიას British Gas, რომლებმაც შესაბამისად ხმების 23 და 22 პროცენტი დააგროვეს, აგრეთვე „მაკდონალდსს“ (19 პროცენტი).

როგორც ამბობენ, ბრიტანელებს იმიტომ არ უყვართ საფინანსო კომპანიები, რომ ისინი წარმატებული არიან, მათი ხელმძღვანელობა კი ძალზე დიდ ბონუსებს ღებულობს.

## რუსეთშიც ჰყიდდა

**სერბეთის უმაღლესმა პროკურატურამ ფეხბურთელთა გაყიდვით მიღებული ფულის არაკანონიერ მითვისებაში ბრალი დასდო ცნობილ სერბ მომღერალ ქალს სვეტლანა „ცეცი“ რაჟნატოვიჩს. ამაზე პროკურატურის პრესმდივანს ტომი ზარიჩს განუცხადებია.**

ფიქრობენ, რომ 2000-დან 2005 წლამდე, როდესაც აწგარდაცვლილი მისი ქმარი, შემდეგ კი თავად სვეტლანა სათავეში ედგნენ ბელგრადის საფეხბურთო კლუბს „ობილიჩს“, მათ უკანონოდ მიითვისეს დაახლოებით ოთხი მილიონი გერმანული მარკა და 3,5 მილიონი დოლარი, ევროპასა და აზიაში 10 ფეხბურთელის გაყიდვით რომ მიიღეს.

ბრალდების მასალებშია აგრეთვე „ობილიჩის“ ფეხბურთელების გაყიდვის ფაქტები რუსეთის ფედერაციაში. კერძოდ, ვლადიმერ ჩურიჩიჩის და სეად სალახოვიჩისა ვლადიკავკაზის „ალანიაში“ 220 ათას დოლარად და მილან ობრადოვიჩისა მოსკოვის „ლოკომოტივში“ 3 მილიონ დოლარად. აღსანიშნავია, რომ მომღერლის წინააღმდეგ გამოძიება რვა წელი გრძელდებოდა, თითქოსდა სათანადო ინფორმაციის მოძიების მომიზეზებით. პროკურატურამ მომღერალს წაუყენა ბრალდება იარაღის არაკანონიერ შენახვაზეც. 2003 წელს მის ბინაში 11 პისტოლეტი აღმოაჩინეს. სვეტლანა ცნობილია კრიმინალურ სამყაროსთან კავშირითაც.



წიგნი

# გაყალბებული ისტორიის ობიექტურად გაშუქების ცდა




**გამოიცა ცნობილი ისტორიკოსის, პროფესორ ვახტანგ გურულის ახალი ნაშრომი „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921)“. წიგნის პირველ ნაწილში გაშუქებულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია 1483-1801 წლებში, ხოლო მეორე ნაწილში — 1918-1921 წლებში გადასინჯულია როგორც რუსეთის იმპერიის, ისე საბჭოთა და თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიის შეხედულებანი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის საკვანძო პრობლემებზე.**

პროფ. გ. გურული წერს, რომ საქართველო-რუსეთის დიპლომატიური, სამხედრო და პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია დიდი ხნის მანძილზე საგანგებოდ ყალიბდებოდა. ეს პროცესი დაიწყო რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიამ, გააგრძელა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. დღეს ამ ტრადიციას საგულდაგულოდ იცავს და აგრძელებს თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია.

ამას ყოველთვის პოლიტიკური მოტივი ედო საფუძვლად. რუსი ისტორიკოსები დიდი ხანია, ცდილობენ რუსეთი საქართველოს დასაპყრობად კი არა, მხსნელად წარმოაჩინონ, სურთ უარყონ ის ჭეშმარიტება, რომ XVIII საუკუნის დამდეგიდან რუსეთი სამხრეთ კავკასიაში მოვიდა არა როგორც მხსნელი, არამედ როგორც მესამე დამპყრობელი, რომლის მიზანი იყო რეგიონიდან ირანისა და ოსმალეთის განდევნა, საქართველოსა და მთელი კავკასიის გადაქცევა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად.

ვ. გურულის ნაშრომის მიზანია ობიექტურად გააშუქოს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია.

**ა. ავალიანი**

ხსოვნა

# გრიგოლ აკაკის ძე ბოკუჩავა

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი გრიგოლ აკაკის ძე ბოკუჩავა.

დაიბადა 1924 წელს ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 77-ე საშუალო სკოლის წარჩინებით (ოქროს მედალზექ დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო 31-ე საავიაციო ქარხანაში და პარალელურად სწავლობდა ჯერ საავიაციო ტექნიკუმში, ხოლო შემდგომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე. ტექნიკუმისა და უნივერსიტეტის წარჩინებით (წითელ დიპლომზექ დამთავრების შემდეგ, 57 წლის განმავლობაში, საქმიანობდა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებში.



ომის შემდგომ პერიოდში იგი მუშაობდა ახლად ჩამოყალიბებულ რუსთავის კომპარტიის საქალაქო კომიტეტში საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შექმნისა და ამოქმედების პროცესში.

50-იან წლებში იგი ქალაქ თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს დირექტორის მოადგილეა მშენებლობის დარგში. 50-იანი წლების ბოლოდან მუშაობას იწყებს ჯერ ქალაქ თბილისის პარტიის საქალაქო კომიტეტში, ხოლო შემდგომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მსუბუქი მრეწველობისა და ვაჭრობის განყოფილების გამგედ.

1966 წლიდან მან საქმიანობა განაგრძო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში („გოსპლანი“, შემდგომში ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროძ ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების უფროსად და საგეგმო კომიტეტის კოლეგიის წევრად, სადაც მან იმუშავა 38 წელი პენსიაში გასვლამდე, 2004 წლის დეკემბრამდე.

გრიგოლ ბოკუჩავა გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, თანამშრომლებთან კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით და პრინციპულობით. სწორედ მისი პრინციპულობის გამო 60-იან წლებში პარტიულ ხელმძღვანელებთან ეკონომიკის განვითარების საკითხებში პრინციპული უთანხმოების გამო მან დატოვა თანამდებობა ცენტრალურ კომიტეტში და თავისი მოღვაწეობა განაგრძო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში განყოფილების უფროსად.

კოლეგებსა და მეგობრებს შორის იგი ყოველთვის სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტითა და პატივისცემით. ყველა მის კოლეგას, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტიდან იგი ახსოვს როგორც მაღალი ერუდიციისა და მუყაითი ადამიანი. პირველ რიგში იგი მომთხოვნი იყო საკუთარი თავის მიმართ და ყოველთვის მაგალითს აძლევდა კოლეგებსა და თანამშრომლებს საქმის ერთგულებაში. ყველა მისი კოლეგა და თანამშრომელი დღემდე აღნიშნავენ, რომ მომთხოვნელობასთან ერთად იგი ყოველთვის იჩენდა იშვიათ გულისხმიერებას თანამშრომლებისადმი და ყოველთვის ცდილობდა გაეგო მათი ყოფითი სირთულეები, პრობლემები და მზად იყო, აღმოეჩინა მათთვის ყველანაირი დახმარება.

ჩვენს ხსოვნაში იგი დარჩება როგორც იშვიათი შრომის უნარის მქონე კეთილსინდისიერი, მაღალი რანგის პროფესიონალი და მაღალი ზნეობის პიროვნება, ხოლო ახალგაზრდა თაობისთვის როგორც მისაბაძი წესიერების, მუყაითობის და საქმისადმი ერთგულების — მაგალითი იმისა, რომ ყველა დროში არსებობენ ადამიანები, რომლებიც საზოგადოებისა და ადამიანების კეთილდღეობისათვის ილვწიან და კეთილსინდისიერად შრომობენ.

**კოლეგები, მეგობრები**



დედა ქეთევანი, მეუღლე თამარი, შვილები გიორგი, ალექსანდრე, სიმამრი დავით ჩხატარაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი რევაზის ძე ჯაფარიძე

პანაშვიდი 31 III, 1 IV, 17 სთ. იაკობ ნიკოლაძის ქ. №6, გამოსვენება 2 IV, 15 სთ. მაცხოვრის ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს პანთეონთანძ.

---

მზია, დემურ, ფრიდონ, სოსო და დავით ინჯიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ უახლოეს ნათესავს ჯემალ ინჯიას შვილის

ზაზა ინჯიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---



მეუღლე ჯუბა, შვილები სოფო, მამუკა კალანდაძეები, და ია მიქანაძე, სიძეები გიგი მიქაძე, გელა აბაშიძე, რძლები გულიკო კუცია, თამუნა ორკოდაშვილი, შვილიშვილები სალომე, ანა, დემიკო მიქაძეები, ნიკოლოზ, ანდრია კალანდაძეები, მძახლები მანანა, დემურ მიქაძეები, მზია გაზდელიანი, ზურა ორკოდაშვილი, ძმისწულები ეკა, ლაშა მიქანაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიმოზა მიქანაძე-კალანდაძე

პანაშვიდი 31 III, 1 IV, 17 სთ. მისამართი: ყიფშიძის ქუჩით გაბაშვილის 4, II სადარბაზო, გამოსვენება 2 IV, 14 სთ. ვაკის სამების ეკლესიიდან.

---

მანანა და დემურ მიქაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მძახლის, შესანიშნავი ქალბატონის

მიმოზა მიქანაძე-კალანდაძის

გარდაცვალებას.

---

შვილები გია გელაშვილი, ლია ჯინორია, შვილიშვილები ლევან გორდეზიანი, თამარ, მაკა, თინათინ, გიორგი გელაშვილები ოჯახებით, რძალი ნანა ჭუმბურიძე, სიძე რისმაგ გორდეზიანი იუწყებიან

თინათინ სიმონის ასულ ყაუხჩიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 III, 1 IV, 17 სთ. გამოსვენება 2 IV, 14 სთ. ყაზბეგის 29ა, IV სად. ბინა 72, დაკრძალვა საბურთალოს პანთეონში.

---

პროფესორი ვალერი ვაშაკიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თავისი მასწავლებლის, დიდი პიროვნებისა და სახელოვანი მკვლევარის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის

თინათინ ყაუხჩიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქვეყნოდ აღიარებული მკვლევარის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

თინათინ ყაუხჩიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სენაკი

# ერთადერთი და გადამრჩენი გზა

## უნარშეზღუდულ ბავშვთა კონცერტი

**სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში 22 მარტს, ორმოც მოწამეთა ხსენების დღეს, გაიმართა კონცერტი სენაკის უნარშეზღუდულ ბავშვთა პანსიონატთან არსებულ ანსამბლ „დედის ნანას“, სენაკის სამუსიკო სკოლის საესტრადო განყოფილების (ხელმძღვანელი ავთანდილ გოგოტიშვილიძ მოსწავლეებისა და სენაკის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის მოსწავლეებისა და პედაგოგების ერთობლივი მონაწილეობით.**

ღონისძიების ორგანიზატორი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური. ალბათ, ყველა ერთნაირად ვერ ვაცნობიერებთ, რომ აქვე, — ჩვენს ახლოს არის „ოცნებათა პატარა კუნძული“, სადაც ცხოვრობენ საოცარი სიკეთისა და სიყვარულის უნარით გამორჩეული პატარა მოქალაქეები, ისინი რეალობას ზღაპრული ფერებით აფერადებენ, მათ სამყაროს მარადიული მოლოდინის სამყარო ჰქვია...

მათ სწამთ, რომ არსებობს ყოვლისმომცველი სიკეთე და სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალა, რომ მათი მოლოდინი, ადრე თუ გვიან, სასურველი სურვილების ახდენით დაგვირგვინდება. ნიჭიერებით აღსავსე ამ პატარა შემოქმედმა ადამიანებმა თავიანთ მეგობრებთან ერთად წკრიალა ჰანგებით სევდანარევი აღტაცება მოჰგვარეს მაყურებელს. იყო სიყვარულით, სითბოთი და იმედით აღსავსე განწყობილება.

კონცერტს პირობითად „მიტოვებული ყვავილები“ ერქვა. იგი უნარშეზღუდული და მიტოვებული პატარების უფლებების, მოთხოვნების, აუხსნელი ოცნებების რეალობად ქცევის მხარდასაჭერი აქცია იყო. მათ გვერდით დგომა გზაა საზოგადოებისა ცოდვიდან სიწმინდისკენ, განკითხვიდან — ყოვლის მიტევებისკენ, სიძულვილიდან — სიყვარულისკენ, მიწიდან — ზეცისკენ. ეს გზა ერთადერთი და გადამრჩენია.

**იოსებ გოზეჩია,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**ქ. სენაკი**

# განცხადება

**2011 წლის 18 აპრილს 14 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ენერგომშენის“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე: გარდაბნის რაიონი, სადგურ ვაზიანის დასახლება, სს „ენერგომშენის“ რკინაბეტონის ქარხნის დირექციის ოფისი.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „ენერგომშენის“ გენერალური დირექტორის ინფორმაცია სააქციო საზოგადოებაში არსებული საერთო მდგომარეობის შესახებ;
2. სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების განხილვა.

**დირექცია**

# არბიტრაჟის უწყება (შეტყობინებაძ საქმე №9-2011

**თქვენ, მურადი დანელიას, ფოთი, ბერდიანსკის 29, გიბარებთ მოპასუხის სახით საარბიტრაჟო სხდომაზე 2011 წლის 14 აპრილს, 15 საათზე, საქმეზე ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელის გამო მალხაზ ხურცილავას და სხვათა მიმართ, თანხის დაკისრებისა და ქონების რეალიზაციის შესახებ, მისამართზე — ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №50, მე-2 სართული.**

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

დეზოდორის მაგიერ

# ძალადობა ეკრანიდან

ვუყურე, მაგრამ ნეტავ არ მეყურებინა... ჩვენი საზოგადოების ზნეობრივად დამანგრეველმა ნეოლიბერალურმა იდეოლოგიამ კარგა ხანია, რაც ჩვენი სახელისუფლებო ტელეარხების ეკრანებზე გადაინაცვლა... განსაკუთრებით ეგრეთ წოდებული საღამოს შოუები გვირეცხავენ ტვინებს, თუკი რამ კიდევ შეგვრჩენია. საკმარისია თუნდაც მაია ასათიანის „პროფილი“, ნინო ქაჯაიას „ცხოვრება მშვენიერია“ და ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ გავიხსენოთ თავის ბომბორა ძალღიანად, რაც, ალბათ, ჩვენი ძალღუმადური თუ გაძალღებული ცხოვრების სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ... თავიანთი მოკლე, მაგრამ განგებ დაგრძელებული ჭკუით ხსენებული ქალბატონები ზემოდან დავალებით გვართობენ, რათა უკვე ტვინგამორეცხილები ადვილად დაგვაჯერონ, რომ ცხოვრება მართლაც მშვენიერია... და ამჟამინდელი სიდუხჭირე მხოლოდ და მხოლოდ გველანდება და გვეჩვენება...



ვუყურე, მაგრამ ნეტავ არ მეყურებინა-მეთქი, ჩვენი ნანუკუ-

## სიბინძურის ყულაბა

ნას ამ სამშაბათის შოუზე ვამბობ. ამ საღამოს შოუს სტუმარი იყო ცხოვრებისგანაც და უთუოდ ბედისგანაც გალაღებული მოროშკინას ქალი, ლალი, ნატვრისთვალი, რომელიც სტუდიაში შეკრებილ ახალგაზრდობას, ხოლო ეკრანიდან მთელ საქართველოს გვმოძღვრავდა, თუ რაოდენ აუცილებელი და კარგი რამ არის საზოგადოების ღიაობა, ანუ სიძვა, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ბოზობა, და კიდევ უფრო აშკარად თუ ვიტყვით, ყოველგვარი გაუკუღმართებული სექსის ჩვენი საზოგადოების მიერ აღიარება...



სანამ ყველაფერს თავის სახელს არ დავარქმევთ, არაფერი არ გვეშველებაო, ქალბატონმა მოროშკინამ. მეც სწორედ მისმა ამ მოსაზრებამ მიკარნახა, რომ თავის სახელი დავარქვა მის მონაწილეობას ნანუკუნას სამშაბათის შოუში — ბოზობისა და ჰომოსექსუალიზმის ფარდაახდილი პროპაგანდა... ამსტერდამი თურმე იმით სჯობს ჩვენს პროვინციულ დედაქალაქს, რომ იქ ლეგალური ბოზობაა, ხოლო ჩვენთან ფარული, იქ თურმე მამაკაცი მამაკაცს ირთავს, ხოლო ქალი— ქალს და, ბუნებრივია, ქორწილებიც რაოდენობრივად მეტი გამოდის (სამჯერძ, რასაც მეტი სიხარული შეაქვს საზოგადოებაში, ჩვენთან კი, ჩვენდა სამარცხვინოდ, მხოლოდ ერთი სახის ქორწილს ვიხდით... ერთსქესიანთა ქორწინებას კი ვმალავთ... ჩვენგან, ცხოვრებას ჩამორჩენილი უმრავლესობისგან განსხვავებით, თვითონ ლალიკოს ჰომოსექსუალი მეგობრებიც ბევრი ჰყოლია და ბევრს მეჯვარედაც გაჰყოლია თურმე... ჩვენი მაღალჩინოსნები, ევროპელი მაღალჩინოსნებისგან განსხვავებით, თურმე თავიანთ კაბინეტებშივე აუპატიურებენ ფულს დახარბებულ უმუშევარ ყმაწვილებს...

და ყველაფერ ამას თავის ფრიად გახმაურებულ წიგნში წერს ჟურნალისტი, მაგრამ, როგორც ჩანს, მწერლური ფანტაზიით უხვად დაჯილდოებული ქალბატონი ლალი, რომელიც ტახტზე თუ დივანზე ნახევრად შიშველი უხვად აფრქვევდა სექსუალურ სიბრძნეებს... განსაკუთრებით მაინც ქალიშვილობის ინსტიტუტს შეუტია ჩვენმა მწერალმა- ჟურნალისტმა, რაც მთელი ერის, მეტნაკლებად ტრადიციული ერის (ეს უკვე ნანუკუნას სიტყვებიაძ საშინელ გოიმობად მიიჩნია... ჩვენი ქალიშვილობადაკარგული გოგონები ამ ბოლო დროს თურმე შაბს იყენებენ, რომელიც, როგორც ცნობილია, მყის კუმშავს ბაგეებს (სულერთია რისასძ და ასე აბრიყვებენ თავიანთ პოტენციადაკარგულ საქმროებს... ერთი სიტყვით, ყველაფერს რა ჩამოთვლის, რის მოსმენის ბედნიერებაც ლალი მოროკშინამ თავისი „მძაფრად ღია“ სექსუალური ლექციით გვარგუნა... თან სულ იმას გაიძახოდა, სექსს ძალადობა არ უნდა ახლდესო, ეს აზრი კი იმდენჯერ გაისმა, რომ თავისთავად უკვე ძალადობად იქცა მაყურებლისა და მსმენელის მიმართ.

ახლა ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ ლალი მოროშკინას მეორე „ბესტელერს“ და ნანუკუნას მეორე „სამშაბათს“...

ცხოვრება, როგორც ჩანს, დღეს მართლაც მშვენიერია, მაგრამ ისიც უთუოდ საკითხავია: ვისთვის?!

**ლამარა გორდეზიანი,**
დიასახლისი,
ქ. ქუთაისი.

ცნობისმოყვარეთათვის

## სად, რა, როდის?

● ვინსენტ ვან გოგმა (1853-1890) სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ნახატის გაყიდვა მოახერხა. მისი სიკვდილის შემდეგ, 6 თვეში, მხატვრის ნახატები გამოფინეს პარიზში, ამსტერდამსა და ნიუ-იორკში და კოლოსალურ ფასად გაიყიდა.

● პოლ გოგენის (1848-1903) სიცოცხლეში მისი ნამუშევრები არავის სჭირდებოდა. შიმშილით და უფულობით გაწამებულმა 1898 წელს თვითმკვლელობა სცადა. 1903 წლის 8 მაისს, კუნძულ ჰივა-ოაზე, მარტოობაში გარდაიცვალა. მისი გვამის გვერდით მორფიანი შპრიცი იპოვეს. ამბობდნენ, რომ გოგენს ზომაზე მეტი დოზა მოუვიდა. სამი წლის შემდეგ პარიზში მხატვრის 227 ნამუშევარი გამოფინეს. უმრავლესობა იმ დღესვე გაიყიდა იმ დროისათვის ასტრონომიულ ფასად.

● ფრანც კაფკას (1883-1924), სადაზღვევო ოფისის მოკრძალებულ თანამშრომელს არანორმალურად ეშინოდა გარემომცველი სამყაროსი. აწუხებდა გამუდმებული თავის ტკივილი, იტანჯებოდა უძილობით, კოლიტით, ჩირქოვანი გამონაყრებით. იავადმყოფა პრაქტიკულად ყველა ინფექციური დაავადებით. ეს იყო ადამიანი ფუტლარში. იცვამდა მხოლოდ შავ ტანსაცმელს და გამუდმებით დუმდა. თავისუფალ დროს წერდა დეპრესიულ პროზას. 1923 წელს ტუბერკულიოზი აღმოუჩინეს, გარდაიცვალა უჭმელობით — დავიწროებული საყლაპავი ლუკმის გადაყლაპვის საშუალებას არ აძლევდა.

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

იყიდება, ქირავდება!
ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ
ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

ანეკდოტები

საქართველოში ბედნიერება სიკვდილის გამომწვევ მიზეზებს შორის ბოლო ადგილზეა.

* * *

— ქალო, როგორ წახვალ მარტო? ვერ ხედავ, როგორ ბნელა?
— არა უშავს, ვეცდები, რომ არავინ შევაშინო.



* * *

ბაბუაჩემი ისეთი მკაცრი გამომეტყველებით უყურებს ვიდეოკლიპებს, რომ გოგოები ხელებს იფარებენ.

* * *

— გეწყინა?
— არა.
— ძალიან?
— ჰო.

რას არ გაიგებ!

### პედოფილი მამა

სანკტ-პეტერბურგში მანიაკი დააკავეს, რომელიც თავის ქალიშვილზე 13 წლის განმავლობაში ძალადობდა.

რუსეთის „ჩრდილოეთის დედაქალაქის“ საგამოძიებო კომიტეტში განაცხადეს, რომ 42 წლის მამაკაცი თავის ქალიშვილს 1997 წლიდან 2010 წლის ოქტომბრამდე აუპატიურებდა. გარდა ამისა, არსებობს იმის საფუძვლიანი ეჭვი, რომ ყველაფერი დედის ჩუმი თანხმობით ხდებოდა (!!). ძალადობა გოგონაზე მანიაკმა პირველად მაშინ იხმარა, როცა იგი 8 წლისა იყო (!!). ოთხი წლის წინათ მან ავადმყოფი ბავშვი გააჩინა, ხოლო მილიციისთვის მიმართვა მხოლოდ შარშან ოქტომბერში გაბედა, დასჯიან თუ არა მამასთან ერთად ამ უბედურ ქალიშვილის პირუტყვ დედას, ჯერჯერობით უცნობია.

### მოძალადეთა ქალაქი

სენტ-ლუისი ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე კრიმინალურ ქალაქად აღიარეს.

მისურის შტატის ქალაქ სენტ-ლუისის ყოველ 100 ათას მოსახლეზე 2,07 ათასი ძალადობრივი დანაშაული მოხდა. ამასთან, ამ მხრივ საერთო ეროვნული მაჩვენებელია 430 დანაშაული. ამ მაჩვენებლით სენტ-ლუისმა პირველობა „წაართვა“ ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ კამდენს.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.